# გილოცავთ გიორგობას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba


26 აპრილიდან
„ახალი თაობის“
სააღდგომო საჩუქარი
ახალ თაობას.
საყმაწვილო ბიბლიოთეკის
8 ტომეული
ძალიან დაბალ ფასად! წიგნი
და გაზეთი ერთად 2 ლარი.


პარასკევი, 6 მაისი, 2011 | №106 (5487) | ფასი: 30 თეთრი

# ქართულმა პარტიამ სახალხო კრებას აქციების დაწყება დაასწრო

## რა მოხდება 8 მაისს



გვ.2

## სააკაშვილს უვადო პატიმრობა ემუქრება

გვ.2





გვ.3

## მიხეილ მაჭავარიანი მთავრობის საპარლამენტო მდივანს დაუპირისპირდა



## ხელისუფლება ოპოზიციური „რვიანის“ დაშლას ვერ მოახერხებს

გვ.4

## აფხაზეთს სრული ანექსია ემუქრება

გვ.8



## ხელისუფლება სახლში უნდა გავუშვათ

გვ.5

21 მაისს საქართველო არჩევნის წინაშე დადგება

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## საქართველოში ხელისუფლება შეიძლება შეიცვალოს

გვ.8



გვ.7

## ბაქრაძე ქალების უფლებებს დაიცავს

ISSN 1987-9385

10 ესტრადის მომღერლები ერთიანდებიან

9 „გაგრის“ ქართული ისტორია

10 ქეთა თოფურია პოდიუმს დაუბრუნდა

9 „ბარსას“ „მანჩესტერი“ შეუწყვილდა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ქართული პარტია აქციებს 9 მაისიდან დაიწყებს

## სახალხო კრებას ეჭვი გაუჩნდა

**შარშან, 6 მაისს თბილისში დიდი ცემა-ტყეპა იყო. მაშინ პირველად აღინიშნა პოლიციის დღე 6 მაისს. ამის გამო ოპოზიციამ მაშინ თავი გაინერვიულა. მათი თქმით, ეს იყო მკრეხელობა, რადგანაც არ შეიძლება გიორგობის დღეს პოლიციის დღე აღინიშნებოდეს.**



თეა მარხვაი ე

ამის გარდა, ოპოზიციას სხვა საბაბიც ჰქონდა. 2009 წლის 6 ნოემბერს თბილისის პოლიციის სამმართველოს წინ დიდი დარბევა მოხდა. მაშინ პოლიციამ რეზინის ტყვიებით ოპოზიციის ლიდერების უმეტესობას გაუხეთქა თავები. მერე ეს თავად



ოპოზიცას დააბრალეს და ამტკიცებდნენ, ერთმანეთს დროშის ტარებით სცემესო.

ამ და სხვა მიზეზების გამო ოპოზიციამ გადაწყვიტა, პოლიციისთვის შარშანდელი აღლუმი ჩაეშალათ. მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ადგილი, სადაც აღლუმი უნდა ჩატარებულიყო, საიმედოდ იყო გამაგრებული. ოპოზიციამ აღლუმის ჩაშლა ვერ შეძლო. თუმცა, პოლიციასთან ცემა-ტყეპა გამართა.

წელს ოპოზიციას სავარაუდოდ აღარც ახსოვდა, რომ 6 მაისი პოლიციის დღეა. ოპოზიციის ნაწილი მოლაპარაკებებზეა გადართული, მეორე ნაწილი კი რევოლუციისთვის ემზადება.

ამ თარიღზე ოპოზიცია მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც ცნობილი გახდა, რომ პოლიციის აღლუმი ბათუმში გაიმართებოდა. ერთი ვერსიით ამით ხელისუფლებამ ოპოზიციას გაარიდა თავი. ოპოზიცია კი ამტკიცებს, რომ ამ დღეს აქციის გამართვა არც უფიქრიათ.

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა და შარშანდელი აქციების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა კახა კუკავამ „მედიანიუსს“ განუცხადა, „თავისუფალი საქართველო“ 6 მაისს პოლიციის დღეს, საპროტესტო აქციით არ გააპროტესტებს.

— პოლიციის დღის 6 მაისს დაწესება არის ანტირელიგიური ნაბიჯი. 6 მაისს არის გიორგობა და ამ დღეს ჯალათების, ეშმაკების და სატანების დღესასწაულის დაწესება არის დაახლოებით იგივე, რასაც თავის დროზე ბოლშევიკები აკეთებდნენ, როდესაც სპეციალურად ამთხვევდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებს სხვადასხვა კომკავშირულ ყრილობას. პრინციპში ეს ლოგიკურადაა, რადგან სააკაშვილის რეჟიმი თავისი არსით წარმოადგენს სწორედ კომინისტური და ბოლშევიკური სტრუქტურის გაგრძელებას, — განაცხადა კუკავამ და დასძინა, რომ თუ ასე გაგრძელდება, ცოტა ხანში ხელისუფლება აღდგომას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტმანეტის დღეს დაუმთხვევს, ხოლო შობაზე კი სოდ-ის დღეს დააწესებს.

6 მაისს აქციის მოსაწყობად საერთოდ არ სცალიათ ქართულ პარტიას და სახალხო კრებას. ორივე მათგანი ხელისუფლების შეცვალას აქციებით აპირებს. ეს აქციები მათ ჯერ არ დაუწყიათ, თუმცა ერთმანეთი გვარიანად შემოუულანძღათ.

მათ შორის დაპირისპირება გუშინდელი ამბის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდება. გუშინ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ ისინი ხელისუფლების შესაცვლელად აქციებს 9 მაისიდან დაიწყებენ.

ქართული პარტია ხელისუფლების შეცვლის მიზნით საპროტესტო აქციებს 9 მაისიდან, საგარეჯოს რაიონიდან იწყებს. ეს საპროტესტო აქციები ეტაპობრივად გაიმართება და დროთა განმავლობაში საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს.

ეს ინფორმაცია განსაკუთრებით არ მოეწონათ სახალხო კრებაში. ისინი ხელისუფლების შესაცვლელად აქციების დაწყებას 21 მაისიდან აპირებენ. იქ იმედოვნებდნენ, რომ ქათული პარტია მათ შეუერთდებოდა.

ქართულმა პარტიამ კი აქციების დაწყება მათზე 12 დღით ადრე დააანონსა. ამის გამო კრებაში სერიოზული ეჭვები გაუჩნდათ. სახალხო კრების თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილის თქმით, ქართული პარტიის მიერ საპროტესტო აქციების დაწყების თარიღად 9 მაისის გამოცხადება, ეჭვს ბადებს და გაოცებას იწვევს.

— ქართული პარტიის ლიდერები ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ აცხადებდნენ, რომ ისინი მოქმედებაზე გადასასვლელად მზად არ იყვნენ, დღეს კი გამოსვლების დაწყების თარიღად დაასახელეს დღე, რომელიც ძალიან მალე დადგება. ცოტა ხნის წინ ამბობდნენ, რომ მზად არ ვართ და ვემზადებითო. დღეს კი ამბობენ, 9 მაისიდან ვიწყებთ პროცესსო. ეს ყველაფერი ჩემში ეჭვს ბადებს და გაოცებას იწვევს. 9 მაისიც დადგება და ვნახოთ, რას გააკეთებენ. მეტს ვერაფერს ვიტყვით. გამგები გაიგებს, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გაფრინდაშვილმა.

როგორც ჩანს, წინ საინტერესო მაისი გველოდება. არ არის გამორიცხული რომელიმე ოპოზიციურმა პარტიამ კიდევ უფრო ადრე მოინდომოს აქციის ჩატარება. ასე რომ, დაველოდოთ, იქნებ რომელიმე მათგანი ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით 7 ან 8 მაისს გამოვიდეს ქუჩაში.

# სააკაშვილს უვადო პატიმრობა ემუქრება

**კონსერვატიული პარტიის წევრი ლაშა ჩხარტიშვილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას პასუხისგება მოუწევს ყველა იმ დანაშაულისთვის და ადამიანების სიცოცხლის ხელყოფის ყველა იმ ფაქტისთვის, რომელიც მოქმედი ხელისუფლების პირობებში დაფიქსირდა.**

შორენა კოწოწაშვილი

ჩხარტიშვილის სააკაშვილის პოლიტიკური აღსასრულის მოახლოვებაზე მიანიშნებს და მოქმედ პრეზიდენტს სამართლიანი სასამართლოს პირობებში უვადო პატიმრობას უწინასწარმეტყველებს. ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს **ლაშა ჩხარტიშვილთან.**

***— ბატონო ლაშა, როგორ ფიქრობთ, რა გავლენას იქონიებს სააკაშვილის „დემოკრატიული“ მმართველობის წინააღმდეგ ბოლო დროს დასავლეთში გამოთქმული საკმაოდ მძიმე შეფასებები საქართველოს ხელისუფლების შემდგომ ნაბიჯებზე? შეიცვლება სააკაშვილის პოლიტიკის კურსი?***

— მთელი მსოფლიო უკვე ღიად საუბრობს, რომ საქართველოში არის ავტორიტარიზმი; საქართველოში არ არსებობს სასამართლო; საქართველოში მკვლელებს ე.წ. პრეზიდენტი მფარველობს და ეს უკვე თქვა არა რომელიმე ოპოზიციურმა პარტიამ ან ჩვენ, როგორც ამას ვამბობდით 2006 წელს, არამედ ეს თქვა უკვე სტრასბურგის სასამართლომ. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ გირვლიანის მკვლელები შეწყალებულ იქნენ უკანონოდ მიხეილ სააკაშვილის მიერ. საუბარია ამასთანავე იმაზე, რომ საქართველოში თავისუფალი არჩევნები არ არსებობს და არის მოთხოვნა იმისა, რომ საარჩევნო გარემო იყოს დემოკრატიზებული. საუბარია იმაზე, რომ პრაქტიკულად საქართველოში ირღვევა ადამიანის ყველა უფლება, იგივე დევნილების უფლებები, პატიმრების უფლებები; რომ საქართველოს საპატიმროებში პატიმრები იხოცებიან. ეს არის უმძიმესი შეფასებები, რაც გაკეთებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროსაბჭოს, გაეროს, თვითონ ამერიკის სახელმწიფო მდივნის და სტრასბურგის სასამართლოს მიერ გაკეთებული. მართლაც გახშირდა ასეთი განცხადებები. ეს არის აშკარად გამოხატული საერთაშორისო ზეწოლა, რომელსაც თუ დაემთხვევა საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინირებული და აქტიური მოქმედება, დარწმუნებული ვარ, შედეგი იქნება მიღწეული. სააკაშვილს აქვს ორი არჩევანი — ან დათმოს საზოგადოებისთვის წართმეული უფლებები, ან დაადგეს კადაფის გზას. ეს ნათლად მიანიშნა სააკაშვილს ჯონ ბასმა თავის ცნობილ გამოსვლაში, რომელიც, სხვათა შორის, არა ნაციონალურ არხებზე გადაიცა, არამედ ინტერნეტით გავრცელდა.

***— ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, რომ შეფასებების მიუხედავად, სააკაშვილი არა რეალური დემოკრატიის, არამედ პუტინის გზას დაადგება.***

— მეც ასე ვფიქრობ. სამწუხაროდ, მეტად სავარაუდოა, რომ მიხეილ სააკაშვილმა არ გაიზიაროს არც ქართული და არც საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნები. ამ შემთხვევაში მისი პოლიტიკური აღსასრული იქნება გაცილებით მძიმე, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ის დაიწყებს საზოგადოებისთვის იმ უფლებების ნაწილის დაბრუნებას, რომელიც მას წაართვა. მოკლულ ადამიანებს, ბუნებრივია, ის ვერ გააცოცხლებს. მას შეუძლია ერთადერთი რამ: შეიმსუბუქოს საკუთარი პოლიტიკური აღსასრული. თუ ის სხვა გზას აირჩევს,



ვერც ერთ დიქტატორს სხვა გზაზე ვერ გაუმარჯვია და ვერც სააკაშვილი გაიმარჯვებს.

***— ირაკლი ალასანია ფიქრობს, რომ სააკაშვილი ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც უკვე წარსულის პოლიტიკოსია. იზიარებთ ამ შეფასებას?***

— მიხეილ სააკაშვილი არის სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელსაც ჩემი შეფასებით, უვადო პატიმრობა ეკუთვნის. დანარჩენს დაადგენს სამართლიანი სასამართლო, რომელიც უნდა საზოგადოებამ მოიპოვოს; უნდა მოიპოვოს ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ თავისი ბრძოლით, როგორც ამ რეჟიმთან, ასევე შემდგომაც აქტიური მოქმედებებით საიმისოდ, რომ ვეღარავინ ვერასდროს ვერ გაბედოს სასამართლოს ჯიბეში ჩასმა და ერთპიროვნული მმართველოს დაწესება ქვეყანაში. ეს სასამართლო, დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილს ძალიან მძიმე სასჯელს გამოუტანს. ჩემი შეფასებით, ეს უვადო სასჯელი უნდა იყოს, თუნდაც იმ დანაშაულობებთან მიმართებაში, რომელთან დაკავშირებითაც მას გაკეთებული აქვს აღიარებითი ჩვენება საკუთარ სატელევიზიო გამოსვლებში. თუნდაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ფაქტები რომ ავიღოთ, ამ შემთხვევაში უმძიმესი უმძიმესი დანაშაულია სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, იგივე სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, რომელშიც სააკაშვილმა ფაქტობრივად ბრალი დასდო, რომ ის არის მკვლელების მფარველი. გავიხსენით ვაზაგაშვილის მკვლელობა, რომელთან დაკავშირებითაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან გაკეთდა შეფასება, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან. გავიხსენოთ გამცემლიძის, რობაქიძის და 100-ზე მეტი სხვა ადამიანის მკვლელობიოს ფაქტი; მკვლელობის წახალისება საჯარო გამოსვლებში. იგივე პარლამენტის ტრიბუნიდან

გაგრძელება მე-3 გვერდზე

### მაშველები ყაზბეგში დაკარგულ მთამსვლელებს ეძებენ

ყაზბეგში სამძებრო სამაშველო ოპერაცია იწყება. მაშველები 4 დაკარგულ მთამსვლელს ეძებენ, რომელთა შორისაც ბიძინა გუჯაბიძეცაა.

გუშინ გამთენიისას ყაზბეგის რაიონში მეტეოსადგურიდან ბიძინა გუჯაბიძე და გია აფაქიძე ორ სტუმართან ერთად მყინვარწვერის დასალაშქრად წავიდნენ. ისინი მეტეოსადგურში გუშინ დღისითვე უნდა დაბრუნებულიყვნენ, თუმცა მთაში ცუდი მეტეოროგიური პირობების გამო მათთან კონტაქტი ვერ ხერხდება.

სამაშველო ოპერაციის ფარგლებში მაშველთა რამდენიმე ჯგუფი უკვე ადის მყინვერწვერზე. ამ დროისათვის ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ მონაკვეთში იმყოფებიან დაკარგულები. ქართველი მთამსვლელები გამოთქვამენ იმედს, რომ მათი გადარჩენა მოხერხდება. ბიძინა გუჯაბიძე და გია აფაქიძე გამოცდილი მთამსვლელები არიან. სამაშველო ჯგუფი ასევე არც იმას გამორიცხავს, რომ სამაშველო ოპერაციაში შესაძლოა ვერტმფრენის ჩართვა გახდეს საჭირო.

**ათბ-ნიუსი**

### საქართველოს შესაძლოა, ღვარცოფი დაემუქროს

უახლოესი ორ დღის განმავლობაში გადაუღებელი წვიმების შემთხვევაში შესაძლოა, საქართველოს ღვარცოფის საფრთხე დაემუქროს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს ჰიდროპროგნოზების გამყოფილების უფროსმა ქეთევან წიკლაურმა განუცხადა, გაზაფხულზე წვიმიანი ამინდების გამო საქართველოში ყველა მდინარე ადიდებულია. მთაში თოვლის დნობის პროცესი, ჯვრის უღელტეხილისა და გუდაური-კობის მონავეთის გარდა, უკვე დასრულებულია. ამდენად, უახლოესი ორი დღის განმავლობაში ქვეყანაში თუ გადაულებელი წვიმები იქნება, შესაძლოა, ღვარცოფი მოხდეს. განსაკუთრებით, ალაზნის მარცხენა შენაკადებზე. ასეთ დროს ღვარცოფი ზიანს იმ სავარგულებსა და სახლ-კარს მიაყენებს, რომლებიც ჭალებში და მდინარის ნაპირებზეა განთავსებული. მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში კი აცხადებენ, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არამდგრადი, ცვალებადი ამინდები შესაძლოა, კიდევ ერთი კვირა გაგრძელდეს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილს უვადო პატიმრობა ემუქრება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

2-ჯერ, 2005 და 2010 წლებში. ამასთანავე, გავიხსენოთ მკვლელების მფარველობა და ამისთვის მთელი სახელმწიფო აპარატის გამოყენება. ასე რომ, მიხეილ სააკაშვილის მომავალი ძალიან მძიმეა. ის ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღმოჩნდეს პატიმრობაში. ეს არის აუცილებელი, თუ გვინდა, რომ ჩვენ შემდგომში ვერავინ ველარ გაგვიბედოს საკუთარი თავის ქვეყნის სრულ ბატონ-პატრონად გამოცხადება; და საკუთარი ძალაუფლების გამო ადამიანების მკვლელობა.

***— დასავლეთის მხრიდან სააკაშვილის ხელისუფლებაზე გაძლიერდება თუ არა პოლიტიკური წნეხი ასეთი მძიმე შეფასებების პარალელურად და რამდენად დააჩქარებს ეს საქართველოს ხელისუფლების ცვლილებას? ფაქტია, დასავლეთი ამ ხელისუფლების პირობებში გამოთქმულ პროტესტს მხარდაჭერას არ უცხადებდა.***

— რა თქმა უნდა, უაღრესად დადებითად არის შეცვლილი საერთაშორისო კონტექსტი. ზეწოლა არის არნახული. არნახულად მწვავე განცხადებები კეთდება. პრაქტიკულად არ განსხვავდება უკვე საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების, სახელმწიფო დაწესებულებების, იგივე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროსაბჭოს მიერ გაკეთებული განცხადებები ჩვენი განცხადებებისაგან. თუნდაც 2006 წელი გავიხსენოთ, როდესაც მე პირადად, თანასწორობის ინსტიტუტთან ერთად ვაცხადებდი, რომ მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი იყვნენ გირგვლიანის მკვლელების მფარველები. შემდეგ უკვე რობაქიძის, ვაზაგაშვილის და გამცემლიძის მკვლელების მფარველები. პრაქტიკულად იგივე განაცხადა დღეს სტასბურგის სასამართლომ. შესაბამისად, ამგვარი დადებითი საერთაშორისო განწყობისა და საერთაშორისო ფონის კვალობაზე დარწმუნებული ვარ, ქართველი საზოგადოება მოახერხებს ძალების კონსოლიდაციას და მართლაც უახლოეს პერიოდში შესაძლებელ გახდება მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა. თუმცა ბრძოლა აქ არ მთავრდება. ისევ როგორც ეგვიპტელებმა იბრძოლეს იმისათვის, რომ მუბარაქის რეჟიმის და მისი მინისტრების თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ მიაღწიეს მის სისხლის სამართლებრივ დევნას, სწორედ აკეთკენ უნდა მივმართოთ ჩვენც ჩვენი ძალა. უნდა გასამართლდეს სააკაშვილი და მის უახლოესი გარემოცვა, ყველა დამნაშავე განსაკუთრებით სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში დამნაშავე პირები. ასევე ელიტურ კორუფციაში ჩართული მაღალჩინოსნები უნდა იქნენ დასჯილი. სხვა შემთხვევაში ამ გამარჯვებას ფასი არ ექნება. გამარჯვება იქნება რეალური მხოლოდ, თუ დამნაშავეები პასუხს აგებენ. თუ მხოლოდ ფორმალური ცვლილება მოხდა ქვეყანაში, ბუნებრივია, ეს იქნება ძალიან ცუდი წინაპირობა საიმისოდ, რომ შეიძლება მომავალში მსგავსი განმეორდეს, ჩვენ გვახსოვს თუნდაც ე.წ. ვარდების რევოლუცია, რომლის შემდგომაც პრაქტიკულად არც ერთი დამნაშავე არ დასჯილა, არათუ არ დასჯილა, სისხლის სამართლებრივი დევნაც არ განხორციელებულა, მაგალითად, იგივე ედუარდ შევარდნაძის, კახა თარგამაძის და სხვებთან მიმართებაში. შესაბამისად ეს გაკეთდა საიმისოდ, რომ პრეცედენტი არ შექმნილიყო იმისა, რომ უმაღლესი თანამდებობის პირები აგებენ პასუხს კანონის წინაშე. თუმცა დევნა უნდა იყოს წმინდა სამართლებრივი, დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ და არა ისე, როგორც სააკაშვილმა შერჩევით განახორციელა პირადი მოტივაციის მიხედვით სხვადასხვა ადამიანებთან მიმართებაში.

***— თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ გირგვლიანის მკვლელობა. ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილება საქმის ხელახალ გამოძიებას არ ავალებს და მხოლოდ 50 000 ევროს ანაზღაურება ეკისრება სახელმწიფოს.***

— სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება იყო ერთ-ერთი უმძიმესი მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ისტორიაში. თუნდაც გავიხსენოთ ის, რომ ეს იყო 60 შემთხვევიდან ერთ-ერთი, რომელიც განხილულა ღიად, საჯაროდ. ამ შემთხვევებს შორის აღმოჩნდა გირგვლიანის საქმე ევროპის მასშტაბით. ეს უკვე იყო პირველი დარტყმა საქართველოს ხელისუფლებისათვის. მეორე დარტყმა იყო თვითონ განაჩენი, რომელშიც ნათლად წერია, რომ მიხეილ სააკაშვილმა უკანონოდ შეიწყალა გირგვლიანის მკვლელები. მასში წერია, რომ მთელი სახელმწიფო აპარატი იყო ჩართული მკვლელების მფარველობაში და გამოძიების ხელშეშლაში. იქ არის საუბარი რომ შს სამინისტრო ხელს უშლიდა გამოძიებას, იუსტიციის სამინისტრომ და პროკურატურამ არაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება დადგენილიყო. იქ იყო საუბარი იმაზე, რომ სასამართლომ არ განახორციელა სასამართლო გამოძიება. საუბარი იყო იმაზე, რომ პენიტენციალური სისტემა ყველაფერს აკეთებდა, რათა კომფორტული პირობები შეექმნა გირგვლიანის მკვლელობისთვის დაპატიმრებულებისთვის და ამასთანავე, ხელი შეეშალათ გამოძიებისთვის. იმიტომ, რომ ერთ კამერაში იყვნენ მოთავსებული მკვლელები, რაც ბუნებრივია, წინასწარ გამოძიებაში დაუშვებელია. იმიტომ, რომ პირდაპირ შეიძლება ითქვას, გამოძიებას არარეალურს აყენებს. მკვლელებს ეძლევათ შესაძლებლობა ერთმანეთში ვერსიები შეაჯერონ. ასე რომ, ამ გადაწყვეტილებაში იყო პრაქტიკულად ყველაფერი, რაც შეიძლება ყოფილიყო. იქ დეტალურად არის აღწერილი ანატომია საქართველოს ხელისუფლების, სააკაშვილის რეჟიმის მიერ სანდრო გირგვლიანის მკვლელების მფარველებისა და ეს გადაწყვეტილება არის პრეცედენტული იმ თვალსაზრისით, რომ დარწმუნებული ვარ, ანალოგიური გადაწყვეტილებები იქნება გამოტანილი ვაზაგაშვილის, გამცემლიძის და რობაქიძის შემთხვევაში, რომელიც ასევე წავა სტრასბურგის სასამართლოში. ვაზაგაშვილის საქმე უკვე გადაგზავნილია სტრასბურგში, რადგამ იქ ერთი ერთზე მეორდება გამოძიების დროს ჩადენილი დარღვევები, როგორც გირგვლიანის, ასევე სხვა შემთხვევებშიც. თუმცა სპეციფიკა ბუნებრივია არის განსხვავებული. მაგრამ საერთო ის არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაღალჩინოსნებმა თუ პოლიციის სხვა რანგის წარმომადგენლებმა ჩაიდინეს მკვლელობა, გააყალბეს მკვლელობის გარემოებები თითოეულ ამ ტრაგედიასთან მიმართებაში და მთელი სახელმწიფო აპარატი და მისი პროპაგანდისტული თუ ძალოვანი ნაწილი იყო დაკავებული ერთის მხრივ, მკვლელების გამართლებით, ხოლო მეორეს მხრივ, მოკლულების მეორე გზის მკვლელობის მცდელობით. გარდაცვლილებს აბრალებდნენ სხვადასხვა დანაშაულს. რაც შეეხება გამოძიების განახლებას, ეს იგულისხმება.

***— ანუ ხელისუფლებას მოუწევს გირგვლიანის მკვლელობის საქმის ხელახლა გამოძიება?***

— აუცილებლად მოუწევს. მაგრამ ემ იმედი მაქვს, რომ სანამ ხელისუფლებას მოუწევს გამოძიების განახლება, ეს ხელისუფლება ადგილზე აღარ იქნება. ქართველი საზოგადოების ვალია, რომ გამარჯვება, რომელიც ეკუთვნის უპირველეს ყოვლისა, ირინა ენუქიძეს, სხვა მოკლული შვილების მშობლებს, ასევე საზოგადოებას, თანასწორობის ინსტიტუტს, კონსერვატიულ პარტიას და სხვა პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს, ვინც 2006 წლიდან მოყოლებული იბრძოდა მკვლელების დასჯისთვის. ამ გამარჯვების პირველი ეტაპი არის მიღწეული. მაგრამ მეორე ეტაპი უნდა იყოს ის, რომ მკვლელები ციხეში აღმოჩნდნენ. მე იმედი მაქვს, რომ ამ ეტაპს აქ, საქართველოში მოვიგებთ და აღარ მოგვიწევს ლოდინი საერთაშორისო არენაზე შემდგომი რეაქციების, რომელიც ბუნებრივია იქნება, თუ ხელისუფლება აქ გამოძიებას დროულად არ დაიწყებს. ვფიქრობ, სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან გირგვლიანის მკვლელობის ხელახლა განხილვის დროის გაჭიმვისთვის ყველა საშუალება იქნება გამოყენებული.

# მიხეილ მაჭავარიანი მთავრობის საპარლამენტო მდივანს დაუპირისპირდა

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდეს. საქმე შეეხება საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებულ მოხელესა და სასამართლოს მიერ მის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხს.**



საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს შეიძლება მხოლოდ სამი თვის თანხა აუნაზღაურდეს, თუმცა, ესეც სათუოა. საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ პირებთან დაკავშირებული ახალი ინიციატივა პარლამენტმა უკვე განიხილა.

საკითხის საბოლოოდ დამტკიცება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჩიორა თაქთაქიშვილმა მოითხოვა. მან არგუმენტად ის გარემოება დაასახელა, რომ პროექტი სასამართლო გადაწყვეტილებებს უკავშირდება და მისი დროული დამტკიცება მნიშვნელოვანია.

რას შეეხება ახალი კანონპროექტი?

ახალი კანონპროექტით სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. აქამდე მოქმედი რედაქციით კი ასეთ მოხელეს მთელი განაცდენი პერიოდი უნდა ანაზღაურებოდა. მას შემდეგ, რაც ახალი ცვლილება ძალაში შევა, ეს ასე აღარ იქნება.

იურისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ პირს უფლება უნდა ჰქონდეს, მოითხოვოს იმ ოდენობით ანაზღაურება, რა ხანგრძლივობითაც გაუცდა სამუშაო.

ამასთან, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას. თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია, ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ამ შემთხვევაში მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით მხოლოდ იმ შემთხვევაში ანაზღაურდება, თუ დაწესებულების მიერ მოხელე აღდგენილ იქნება სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ ამ კანონს უკუქცევის ძალა ექნება და ახალი რეგულაციები გავრცელდება ახალი ნორმის ამოქმედებამდე წარმოშობილი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ყველა სამართალდარღვევაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

კანონპროექტს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც აკრიტიკებს. მათი აზრით, პირს უფლება უნდა ჰქონდეს, მოითხოვოს იმ ოდენობით ანაზღაურება, რა ხანგრძლივობითაც გაუცდა სამუშაო და თანამდებობრივი სარგოც უნდა იყოს იმ ოდენობის, რაც გაცდენილ პერიოდში იყო და არა — გათავისუფლების დროს.

საია-ს პრობლემატურად მიაჩნია ის გარემოებაც, რომ შრომის განაცდურის ანაზღაურება პირდაპირ მიბმულია პირის სამსახურში აღდგენაზე.

შესაძლოა, ეს კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდეს. იურისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს კანონპროექტი აუარესებს ადამიანების მდგომარეობას და, ამდენად, არაკონსტიტუციურია. ვინ შეიტანს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს და როგორი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება, ეს ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

პარლამენტი გუშინ კიდევ ერთ საკითხზე მსჯელობდა. საკითხი შეეხება სულ სხვა თემას. საუბარია საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებზე, რომლის განხილვა კომიტეტებში უკვე დაიწყეს.

პროექტი კერძო მეწარმეს გეგმიური შემოწმების ნაწილში, შემოსავლების სამსახურის ნაცვლად, კერძო აუდიტორული ფირმის არჩევის შესაძლებლობას აძლევს.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი განმარტავს, რომ კერძო აუდიტორების მიერ კერძო კომპანიების შემოწმების წასახალისებლად კანონში ჩაიდება ნორმა, რომ კერძო აუდიტის მიერ განხორციელებული შემოწმების შემდეგ სანქცია და ჯარიმა არ გამოიყენება.

— აუდიტორული შემოწმების ნაწილში კერძო აუდიტორული ფირმის მიერ განხორციელებულ აუდიტს ვაღიარებთ. ამის შემდეგ იქნება მეორე ეტაპი. ვამუშავებთ მეთოდოლოგიას იმისა, თუ რა კუთხით უნდა განხორციელდეს შემოწმება, რა უფლებამოსილებები ექნებათ ამ მიმართულებით კერძო აუდიტორულ ფირმებს. ვფიქრობთ, ახალი საგადასახადო კურსის ნაწილში ეს წინგადადგმული ნაბიჯია, — განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ.

პარლამენტის გუშინდელ სხდომას კამათის გარეშე არ ჩაუვლია. სხდომის წამყვანმა მიხეილ მაჭავარიანმა მთავრობის საპარლამენტო მდივანს მიკროფონი გამოურთო. ეს „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტის განხილვისას მოხდა.

საქმე ის არის, რომ პარლამენტი და მთავრობა ვერ თანხმდება საქალაქთაშორისო რეგულარულ საავტომობილო და სამგზავრო გადაყვანის ორგანიზების საკითხებზე. მაჭავარიანმა გია ხუროშვილს ჯერ უსაყვედურა, შემდეგ კი მიკროფონი გამოურთო.

ახალი კანონპროექტის თანახმად, სოციალურად ურთიერთდაკავშირებულ მიმდებარე თვითმმართველ ქალაქებში, რომელთა შორის მანძილი 50 კმ-ზე ნაკლებია და, როგორც წესი, მგზავრთა ნაკადი დიდია, მგზავრთა ეფექტიანი მომსახურების მიზნით, რეგულარული საავტომობილო და სამგზავრო გადაყვანის ორგანიზება და მართვა ქალაქების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შორის დადებული შეთანხმებების საფუძველზე განხორციელდება. ამ ცვლილების შედეგად შესაძლებელი ხდება თბილისსა და რუსთავს შორის სამარშრუტო ტაქსების მოძრაობაზე, თბილისის მსგავსად, ტენდერი გამოცხადდეს.

ამ საკითხის განხილვისას მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, რომ რუსთავისა და თბილისისთვის საკითხის დარეგულირების უფლების მიცემა შესაძლოა გამონაკლისად ჩაითვალოს, სხვა შემთხვევაში კი — მას შემდეგ, რაც ქალაქებში მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა ავტოსადგომების თვალსაზრისით, საკითხი სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ უნდა დაარეგულიროს.

მიხეილ მაჭავარიანისთვის კი გაუგებარია, რატომ მიიჩნევს ცვლილებას მთავრობა გამონაკლისად. სწორედ ამ საკითხზე მოხდა მაჭავარიანსა და მთავრობის საპარლამენტო მდივანს შორის მცირე შეკამათება.

— რით ვერ ჩამოყალიბდით სამი თვის მანძილზე?! — მიმართა მაჭავარიანმა გია ხუროშვილს.

მთავრობის საპარლამენტო მდივანი შეეცადა, საკითხზე ვრცლად ესაუბრა, მაგრამ სხდომის წამყვანმა საშუალება არ მისცა. მაჭავარიანმა მთავრობის საპარლამენტო მდივანი „დასაჯა“ და მიკროფონი გამოურთო.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ხუროშვილი „დაისაჯა“. რამდენიმე ხნის წინ გია ხუროშვილს პარლამენტში ერთ-ერთი კანონპროექტი უნდა გამოეტანა, თუმცა, მაჭავარიანმა აღმოაჩინა, რომ მთავრობის საპარლამენტო მდივანი დარბაზში არ იმყოფებოდა. მართალია, მოგვიანებით მთავრობის საპარლამენტო მდივანი დარბაზში შევიდა, თუმცა, უკვე გვიან იყო. მაშინ მაჭავარიანმა დეპუტატებს კითხვით მიმართა, დაესაჯათ თუ არა ხუროშვილი დაგვიანების გამო. მას შემდეგ, რაც დაღლილმა დეპუტატებმა გადაწყვიტეს, რომ ხუროშვილი უნდა დაესაჯათ, მაჭავარინმა „ვერდიქტი“ გამოიტანა და კანონპროექტი იმ სესიაზე აღარ განიხილეს.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის დასჯის სხვა მექანიზმი პარლამენტს არა აქვს. ერთადერთი ბერკეტი, რაც მას გააჩნია, ის არის, რომ მთავრობის საპარლამენტო მდივნის დაგვიანების შემთხვევაში, მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადაიდება.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ხელისუფლება ოპოზიციური „რვიანის“ დაშლას ვერ მოახერხებს

ნათია ხურცილავა

**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე აცხადებს, რომ ქუჩის აქციებმა ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესს ხელი არ უნდა შეუშალოს. თუმცა, ის ხელის შეშლაზე აქცენტს ურთიერთლანძღვის შემთხვევაში აკეთებს.**



კაციტაძე მიიჩნევს, რომ ქუჩის აქციების მოლოდინების შეფასება რთულია, რადგან ინფორმაცია არა აქვს, რა იქნება 22 ან 23 მაისს.

ახლების წარმომადგენლის განცხადებით, თუ ქუჩის აქციები ისევ ძველის გადამღერება იქნება, პროცესები განწირულია.

ინტერვიუ **მამუკა კაციტაძესთან:**

***— ბატონო მამუკა, რამდენად რეალურია, ხელისუფლებასა და „რვიანს“ შორის მოლაპარაკების პროცესი განახლდეს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით და თუ არის თქვენი მხრიდან მზაობა?***

— ჩვენი მხრიდან აბსოლუტური მზაობაა და ამის შესახებ ვაცხადებთ კიდეც. თუ ხელისუფლების მხრიდან არის სურვილი, უფრო მისაღები, რომ ინდივიდუალურ რეჟიმში გაგრძელდეს მოლაპარაკებები, ჩვენ მზად ვართ, ინდივიდუალურ ფორმატშიც გავაგრძელოთ მოლაპარაკება. ინდივიდუალური მოლაპარაკების დროს იგულისხმება, რომ „რვიანი“ ერთი მხარე იქნება. საერთო პრეზენტაციები გავაკეთეთ, შეჯერებული და კოორდინირებული ვართ ყველა საკითხზე. აქიდან გამომდინარე, „რვიანი“ მოლაპარაკების პროცესში ერთი მხარე იქნება. მეორე მხარე იქნება ის, ვისაც სურვილი აქვს, ხელისუფლებას თუ კიდევ სხვას, მზად ვართ, რომ ჩავერთოთ ამ მოლაპარაკებებში და ისევ შედეგზე ვიყოთ ორიენტირებული, რაც მოლაპარაკების პროცესისთვის უმთავრესია. თუ ხელისუფლება ამბობს, რომ ინდივიდუალური მოლაპარაკება შეიძლება უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდეს, ჩვენ კონკრეტულ შემოთავაზებას დაველოდებით, როდის, სად შევხვდეთ და დავიწყოთ მოლაპარაკება. ალბათ, ისე, როგორც ადრე ხდებოდა, სურვილი იქნება, ინდივიდუალურ მოლაპარაკებებში კონკრეტულად იყოს ჩამოყალიბებული საკუთარი ხედვები ამა თუ იმ საკითხზე, რათა უფრო გაგვიადვილდეს მოლაპარაკება.

***— რას გულისხმობთ ინდივიდუალური მოლაპარაკების პროცესში?***

— მოლაპარაკების მაგიდასთან 17 ორგანიზაცია იჯდა. 8 ორგანიზაცია ერთი პოზიციის მატარებელი იყო, დანარჩენი 9 პარტია — საკუთარი პოზიციის მქონე. ინდივიდუალური მოლაპარაკება გულისხმობს იმას, რომ მხარეები ერთი ერთზე დაიწყებენ მოლაპარაკებას. ჩვენს შემთხვევაში ის არის განმასხვავებელი, რომ ჩვენ, „რვიანს“, ერთი პოზიცია გვაქვს და, ბუნებრივია, როგორც ერთი მხარე, ისე ვიქნებით.

***— სწორედ ეს მაინტერესებს...***

— „რვიანის“ ხელოვნურად დანაწევრება, ვფიქრობ, არასერიოზული იქნება. როდესაც რვა ადამიანი ამბობს, რომ მათ ერთი პოზიცია აქვთ, რატომ უნდა ეცადო, ცალ-ცალკე ესაუბრო.

***— ამ შემთხვევაში ინდივიდუალური მოლაპარაკებები არ გულისხმობს „რვიანის“ დაშლას?***

— არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს. როდესაც სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს პავლე კუბლაშვილმა თქვა, ინდივიდუალური მოლაპარაკება „რვიანში“ შემავალ სუბიექტებთან ცალ-ცალკე საუბარს ნიშნავსო, მე მქონდა საუბარი კუბლაშვილთან, თუ რას გულსხმობდა და მითხრა, რომ მსგავსი რამ არ უგულისხმია. ხელისუფლება არ გულისხმობს „რვიანში“ შემავალ სუბიექტებთან ცალ-ცალკე მოლაპარაკებას. ასეთი რამ მათ არც ჰქონიათ აზრად. ამას პირად საუბარშიც ამბობენ.

***— ფორმატი შეიცვლება?***

— როგორ არ შეიცვლება, რადგან სიტყვა „ინდივიდუალიზმი“ შემოდის, ეს ნიშნავს ერთი ერთზე მოლაპარაკებას ანუ მხარე მხარესთან. ამ შემთხვევაში „რვიანი“ რჩება მხარედ. ნებისმიერი მსურველი მოლაპარაკების პროცესში ჩაერთვება.

***— ვგულისხმობ იმ ფორმატს, რომელიც ითვალისწინებს დამკვირვებლების, უცხოელი თუ ქართველი არასამთავრობო ორგანიზაციების დასწრებას მოლაპარაკების პროცესზე...***

— პროცესი რომ გამჭვირვალე უნდა იყოს, აქ ორი აზრი არ არის. ინდივიდუალიზმი არ ნიშნავს, რომ ერთი ადამიანი მეორე ადამიანთან დაჯდეს და ეს პროცესი დაფარული იყოს ქართველებისთვისაც, უცხოელებისთვისაც. დამკვირვებლების პროცესზე დასწრება უნდა შენარჩუნდეს. ჩვენ არაფერი დასამალი არ გვაქვს. დაე, დაინახოს ყველამ, ორ მხარეს შორის ვინ რას სთავაზობს ერთმანეთს, როგორ და რანაირად. ამიტომ ინდივიდუალური მოლაპარაკების გამჭვირვალობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ ჩვენი მხრიდან არ დგება. ეჭვი მეპარება, ხელისუფლებამ თქვას, აღარ ვუთხრათ არაფერი აღარც ქართველ არასამთავრობოებს, აღარც ქართველ ჟურნალისტებს, აღარც უცხოელებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და დავმალოთ ეს ყველაფერი. ეს იქნება ძალიან არასერიოზული. თავის დროზე, როდესაც მოლაპარაკებები იწყებოდა, ლამის პირობის დონეზე იყო გამჭვირვალობის საკითხი დაყენებული.

***— მახსოვს და ამიტომაც ვსვამ ამ კითხვას...***

— ინდივიდუალური მოლაპარაკებების ფორმატი არ გულისხმობს გაუმჭვირვალობას.

***— ბატონო მამუკა, 21 მაისის გამოსვლები, რასაც „სახალხო კრება“ აპირებს, ხომ არ შეუშლის ამ პროცესს ხელს? როგორ წარმოგიდგენიათ ქუჩაში საპროტესტო აქციები და პარალელურად მოლაპარაკებები?***

— მე ამას, როგორც ორ განსხვავებულ პროცესს, ისე ვუყურებ, რომლებიც ერთმანეთს ხელს არ უშლის. ქუჩის აქციებისა და სხვა ტიპის მეთოდებით ბრძოლის მომხრენი აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. ეს მათი არჩევანია. პირდაპირ გეტყვით, ნამდვილად არ განვიცდი მოლაპარაკების პროცესში დისკომფორტს, თუ პარალელურად ქუჩის აქციები იქნება, ისე, როგორც მათთვის არ უნდა იყოს პრობლემა, თუ ისინი თავიანთ გზაზე მოძრაობას გააგრძელებენ და პარალელურად ვილაცა ხელისუფლებას მოლაპარაკების მაგიდასთან დაელაპარაკება. ჩვენ ამ საკითხს არ ვუყურებთ, როგორც ხელის შემშლელს.

***— „რვიანის“ წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ შეიძლება მათ მიმართონ კიდეც ქუჩის აქციებს...***

— რომ ვთქვა, რა შეიძლება იყოს ხელის შემშლელი, გეტყვით. შეიძლება, ორ შემთხვევაში იყოს ხელის შემშლელი: პირველი, თუ ეს ორი ოპოზიციური ფრთა ერთმანეთის კრიტიკასა და ლანძღვაში დახარჯავს ენერგიას. ჩვენ არ ვართ არც კრიტიკოსები, არც სკეპტიკოსები, არც უარმყოფელები სხვა ტიპის მოქმედებებისა სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან. ანალოგიურად გვინდა, რომ მათი მხრიდანაც დაფიქსირდეს. მეორე — ჩვენი განზრახვა ყველასთვის ნათელია, მაგრამ ბუნდოვანია, რა გაგრძელებები მოჰყვება ქუჩის აქციებს. ჩემთვის ეს უცნობია. ამიტომ, სანამ ბუნდოვნება არსებობს, მანამდე გამიჭირდება ვთქვა, ქუჩის აქციის მომხრეები რა ტიპის მოვლენების განვითარებას გულისხმობენ. ამ საკითხზე ვერც ჰოს ვიტყვი და ვერც არას, რადგან არ ვიცი, მაგრამ ის, რაც ვიცი, რომ ერთმანეთის ლანძლვა-გინება და კამათი არ უნდა გაიმართოს, ფაქტია და ამას ვადასტურებ.

***— შესაბამისად, თქვენი მოლოდინები ქუჩის აქციების მიმართ განსაზღვრული არ არის?***

— არ შევალ შეფასებაში. სანამ გარკვეული კითხვის ნიშნები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, რა ხდება 22-23-ში, თუ ეს ყველაფერი არის ძველისა და უკვე მომხდარის ხელმეორე გადამღერება თუ ახალი ვარიანტი, მაშინ, ბუნებრივია, კითხვები ჩნდება, ისევ უშედეგო პროცესი არ განვითარდეს. თუ სიახლეზეა საუბარი, მაშინ ინფორმაციას უნდა ვფლობდეთ ამის შესახებ. ამიტომ მოლოდინებთან დაკავშირებით თავშეკავებული ვიქნები. თუ ძველი მეორდება, მაშინ მაღალი მოლოდინები ნამდვილად არ მექნება. თუ ახალზეა საუბარი, უნდა ვიცოდე, რომ შევაფასო მოლოდინები. როდესაც გახდება ცნობილი, მერე გაკეთდება შეფასებები და მოლოდინებზე საუბარიც მერე იქნება.




თეა მარხვაი ე

# ხელისუფლება სახლში უნდა გავუშვათ

## 21 მაისს საქართველო არჩევნის წინაშე დადგება

**სინოპტიკოსები უახლოეს მომავალში ტემპერატურის მატებას არ გვპირდებიან. სამაგიეროდ ოპოზიცია მკვეთრად აპირებს პოლიტიკური ტემპერატურის აწევას. 21 მაისს პოლიტიკური ტემპერატურის აწევას სახალხო კრება შეეცდება. სახალხო კრების ინიციატორები დარწმუნებული არიან, რომ მათი ძალისხმევა წარმატებით დასრულდება, რაც ხელისუფლების სახლში გაშვებით დამთავრდება.**



ხელისუფლებას სახალხო კრების მუქარის არ სჯერა. მათი თქმით, ვერც სახალხო კრება და ვერც სხვა რომელიმე ოპოზიციური პარტია ხალხს ქუჩაში ვერ გამოიყვანს. მათი არგუმენტი ასეთია, რომ მოსახლეობა კარგად ცხოვრობს.

ხელისუფლების გარდა სახალხო კრების ინიციატივას ეჭვის თვალით უყურებს ოპოზიციური რვიანიც. მათი აზრით, საპროტესტო აქციები და არეულობა სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს.

„დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" წარმომადგენელი თემურ მურღულია მიიჩნევს, რომ ეს ხელისუფლება რაც შეიძლება მალე უნდა გაუშვან სახლში. რატომ არის ეს ხელისუფლება სახლში გასაშვები, ამის შესახებ **თემურ მურღულია** „ახალ თაობას" ესაუბრება.

***— სახალხო კრება 21 მაისიდან ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადიხართ. ხელისუფლება ამბობს, რომ თქვენ ვერაფერს ვერ გახდებით, იმიტომ, რომ ხალხი გვერდში არ დაგიდგებათ, რადგანაც ისინი კარგად ხედავენ ხელისუფლების გაკეთებულ საქმეებს.***

— ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმის განმარტება, თუ რა კარგს უკეთებს ხელისუფლება ხალხს. მცირედი ოდენობით კარგი საქმეები, რა თქმა უნდა, კეთდება. ჩვენი დღევანდელი ეკონომიკა ისეა აწყობილი, რომ ის მცირედი კარგიც კი დაკავშირებულია ბევრ დიდ პრობლემებასთან. დაკავშირებულია უზარმაზარ ვალებთან. ამ ვალების აღება ისევ ხდება. ეს თანხები მოსახლეობას და ქვეყანას უნდა მოხმარდეს. ამ მიმართულებით ძალიან ცოტა თანხა იხარჯება. უმეტესი ნაწილი მიდის ხელისუფლების წარმომადგენლების ჯიბეში. ისინი ამ ფულით იწყობენ ცხოვრებას. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ მოგვიწევს ამ თანხების გადახდა. მე არ უარვყოფ, რომ კარგი გზებია დაგებული, არ ვხუჭავ თვალს იმაზე, რომ ქვეყანა განათებულია. ოღონდ იმასაც კარგად ვხედავ, რომ ამ საქმის უკან რამდენი ვალია. დღეს ბევრს საუბრობენ ეკონომიკის ზრდაზე. რაც საქართველოში ხდება, იმას ეკონომიკის ზრდა არ ჰქვია. ეს არის ეკონომიკის გაბერვა. ქვეყნის განვითარება არ მოხდება. ნებისმიერ ოჯახს შეუძლია საკუთარ თავზე გამოსცადოს ეს. შეუძლია სესხი აიღოს. რაღაცა დროის განმავლობაში უფრო მეტი ფული ექნება, ვიდრე ჰქონდა. თუ ეს ფული სათანადოდ არ იქნა გამოყენებული, და ის შეჭმული აღმოჩნდა, გადახდის დრო რომ მოვა, ეს ოჯახი კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩავარდება. ასეთ დღეშია საქართველოც. შეუძლებელია, ადამიანი ვერ ხედავდეს, რა ხდება დღეს ქვეყანაში. ვიღაცა ამას დაგებული გზების ფონზე ვერ ამჩნევს. იმათი დუმილი კი ვინც ამას ხვდება, არის დანაშაული.

***— რატომ არის დანაშაული?***

— როცა ხვდები ქვეყანაში რა უბედურება ტრიალებს და თვალს ხუჭავ, მისი თანამონაწილე ხდები. ეს კი არის დანაშაული. დღეს აღარ არის ის დრო, როცა ხალხმა უნდა თქვას, მოდით, ვნახოთ, რა იქნება. დრო დღეს საქართველოს სასარგებლოდ არ მუშაობს. ყოველ დღეს საქართველოსთვის ცუდი მოაქვს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ 21 მაისს ქუჩაში საზოგადოების დიდი ნაწილი გამოვა.

***— მაინც რამდენი ათასს ელოდებით?***

— არავის არა აქვს იმის ილუზია, რომ საზოგადოების ასი პროცენტი იქნება ერთ აზრზე. ასეთი რამე კარგი ნამდვილად არ არის. გაცილებით უარესია ის, რასაც ხელისუფდება აკეთებს. ის ადამიანებს ერთმანეთთან აპირისპირებს. მათ შორის უზარმაზარ უფსკრულს აშენებს. ის ცდილობს ამ დაპირისპირების ხარჯზე შეინარჩუნოს ძალაუფლება. ის დრო წარსულს ბარდება, როცა ადამიანები ერთმანეთს ვერ უგებდნენ. ყველას გვახსოვს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში რეფორმატიორებმა განახორციელეს ღონისძიებები. თავად საქმე კარგად წავიდა. მაგრამ სისტემის გაუმართაობის გამო წავიდა უკან. ჩვენც ამ ვითარებაში ვართ. სისტემა არ შედგა და საქართველოში ახლა ყველაფერი მიდის უკან. ჩვენ ვხვდებით საზლოგადოებას. ვისმენთ მათ აზრს. ხალხი ამბობს, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება. უკვე დადგა ის დრო, როცა კონსტიტუციური უფლებები უნდა დავიბრუნოთ.

***— შეძლებს ხალხი ამ უფლების დაბრუნებას?***

— სხვა გამოსავალი არ არის. ხალხმა ეს უფლება უნდა დაიბრუნოს. მთავარია ჩვენ მოსახლეობას სწორად ავუხსნათ, რა პრობლემებთან აქვს ქვეყანას საქმე. კარგად დავანახოთ, თუ რა ხდება ქვეყანაში. ამას რომ დაინახავენ, მიხვდებიან, რომ ხელისუფლების შეცვლას ალტერანატივა არა აქვს. ამ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ცივილიზებური ფორმა არ გადის. რჩება ურთიერთობის ერთი ფორმა — ერთი ძალის დემონსტრირება. ხალხმა ხელისუფლებას უნდა დაანახოს, რომ აღარ შეეგუება ასეთ უსამართლობას. უნდა დაანახოს ხელისუფლებას, რომ მზად არის, თავისი უფლებებისთვის იბრძოლოს. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასე ხდება. საქართველოშიც ბრუნდება ის დრო, როცა საზოგადოება ტირანიის დამკვიდრებას ადეკვატურად შეხვდება.

***— ხელისუფლების შეცვლის თქვენეულ გზას ოპოზიციის ერთი ნაწილიც აკრიტიკებს. მათი თქმით, აქციები ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. არის მოსაზრება იმის შესახებაც, თუ გაერთიანება არ მოხდა, ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელი იქნება.***

— ყველას თავისი გზა აქვს. იყო დრო, როცა ჩვენ, მთელს ოპოზიციას ერთად დგომისკენ მოვუწოდებდით. დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ ეს შეუძლებელია. ასევე დრომ აჩვენა, რომ ხელისუფლების შეცვლისთვის ყველა პარტიის გაერთიანება საჭირო არ არის. ოპოზიციის გაერთიანების გარეშე არაფერი არ მოხდება, ამ მითს ხელისუფლება ავრცელებს.

***— თქვენ გჯერათ, რომ გაერთიანების გარეშე შეიძლება ხელისუფლების შეცვლა?***

— სინამდვილეში ასე არ არის. ხელისუფლების შეცვლა ერთ პარტიასაც შეუძლია. მით უმეტეს, იმ გაერთიანებას, სადაც საზოგადოებისთვის პატივსაცემი ადამიანები არიან გაერთიანებული. დღეს ხელისუფლების შესაცვლელად საჭირო არ არის ყველა პარტიის კონსოლიდაცია. მთავარია ხალხის კონსოლიდაცია მოხდეს. სახალხო კრება უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი პარტია. პარტიების ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორი გზა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაა. კი ბატონო, გააგრძელონ მოლაპარაკებები. ოღონდ მე, თემურ მურღულიას მიმაჩნია, რომ ისინი ცუდ რამეზე აწერენ ხელს. სწორედ ისინი ასხამენ ხელისუფლების წისქვილზე წყალს.

***— რატომ ასხამენ ისინი ხელისუფლების წისქვილზე წყალს?***

— თავიანთი ქმედებით ისინი შანსს აძლევენ ხელისუფლებას ხალხის წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს. ეს მოლაპარაკებები იქნება, ამასობაში ჩუმ-ჩუმად მოხდება აქციების მონაწილეთა დაპატიმრება. ხელისუფლება მერე თავს გაიმართლებს; იტყვის, ესენი არიან რადიკალები. დახვეწილი და კონსტრუქციული ოპოზიცია დიალოგზე მოდისო. საზოგადოება თავის პოლიტიკურ განაჩენს ყველას გამოუტანს. ხელისუფლება მოლაპარაკებით არასოდეს არ წავა დათმობაზე. თუ ასე უნდათ ლაპარაკი, ილაპარაკონ. ჩვენ არ ვაპირებთ უსასრულოდ ლოდინს. არ ვაპირებთ იმიტომ, რომ დრო საქართველოს წინააღმდეგ მუშაობს. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვან დღედ მიმაჩნია 21 მაისი. ჩავთვალოთ, რომ ეს არის არჩევნები.

***— რატომ არის არჩევნები?***

— იმიტომ, რომ იმ დღეს საქართველომ ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანი უნდა გააკეთოს. 21 მაისს ხალხმა რომელიმე კონკრეტულ პარტიას არ უნდა დაუჭიროს მხარი. მან უნდა აირჩიოს, ან უუფლებობა, ანდა თავისუფლება. დრო არ ითმენს და არჩევანი უნდა გაკეთდეს. ვინც დროს გაწელვაზე წავა, მაშინ თავისი შვილებისთვის მოუწევს ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ აქვთ მათ მკურნალობის, სწავლის და ნორმალურად ცხოვრების საშუალება. მე მჯერა, რომ 21 მაისს საზოგადოება სხვა არჩევანს გააკეთებს.

***— რა არჩევანი იქნება ეს?***

— ეს იქნება თავისუფლება. ჩვენ კონსტიტუციის დაცვით ხელისუფლება უნდა გავუშვათ სახლში.




## კახეთში ხელისუფლების წარმომადგენლებს კანონდარღვევებში ადანაშაულებენ

პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფალი საქართველო" კახეთის რეგიონში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან კანონდარღვევის ფაქტის გამოძიებას ითხოვს.

როგორც „თავისუფალი საქართველოს" კახეთის ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ხელისუფალთა მხრიდან კანონდარღვევის თვალსაზრისით კახეთში განსაკუთრებითმძიმე მდგომარეობა ქალაქ დედოფლისწყაროშია, სადაც გამგეობის თანამშრომლები მიმართავენ როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური ზეწოლის ფაქტებს და ამასთან არცერთი ჩინოვნიკი არ არის დასჯილი.

— ხელისუფლების მრავალი დაპირებისა, რომ არცერთი ხელისუფლების წარმომადგენელთა სამართალდარღვევის ფაქტი გამოძიებული არ დარჩებოდა, მხოლოდ დაპირებად დარჩა, — აღნიშნულია განცხადებაში.

„თავისუფალი დემოკრატების" ინფორმაციით, 25 აპრილს გვიან ღამით მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლის ოთარ კოვზირიძის საცხოვრებელი ბინიდან შეზარხოშებულმა„ ჩინოვნიკებმა თამილა გურაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, თუმცა გამოძიებისას პოლიციას იქ მყოფი პიროვნებების დადგენა გაუჭირდა. ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ სამართალდარღვევის ფაქტი გაზეთ ქიზიყის„ მთავარი რედაქტორის მიმართაც განხორციელდა. სოფელ წითელწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ტარიელ ღარიბაშვილმა ჟურნალისტს ხელი შეუშალა ჟურნალისტურ საქმიანობაში, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა. არც ამ შემთხვევაში გამოძიებულა საქმე.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, მსგავსი ფაქტი მოხდა ყვარელშიც, სადაც ხუთი შვილის დედას თამარ ღელაღუტაშვილს ყვარლის პოლიციის უფროსმა და თანამშრომლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

როგორც თამარ ღელაღუტაშვილი განმარტავს, პოლიციის თანამშრომლებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მხოლოდ იმიტომ მიაყენეს, რომ მან ქურდობა არ აღიარა.

— სინამდვილეში კი მას არანაირი ქურდობა არ ჩაუდენია. რამდენიმე საათის განმავლობაში პოლიციაში ვყავდი გამოკეტილი და მირტყამდნენ, — განაცხადა ღელაღუტაშვილმა.

საქმე არც ამ შემთხვევაში გამოძიებულა და თემურ გურაშვილი, რომელიც ბრალდებას უარყოფს, ამ დრომდე ყვარლის პოლიციას ხელმძღვანელობს. დაზარალებული საქმის გამოძიებასა და შემდგომ რეაგირებას შსს მინისტრ ვანო მერაბიშვილს სთხოვს.

„თავისუფალი საქართველო" არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შექმნილი მდგომარეობით დაინტერესებას სთხოვს.

**მედიანიუსი**

## რაჭაში მიწისძვრა მოხდა

გუშინ თბილისის დროით 12.43 საათზე რაჭაში მიწისძვრა მოხდა. როგორც მედიანიუსს„ სეისმური მონიტორინგის ცენტრიდან აცნობეს, მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქი ონი იყო და მისი სიმძლავრის მაგნიტუდამ 3,5 შეადგინა.

ეს მაისის თვეში საქართველოში რიგით მეოთხე მიწისძვრაა.

ონში მომხდარ მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლება ოპოზიციის გადაბირებას იწყებს

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ
ნანა კაკაბაძესთან**

*— ქალბატონო ნანა, გუშინ პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ „რვიანთან" მოლაპარაკება ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატში გაგრძელდება. რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ცალ-ცალკე უნდა ელაპარაკონ თითო ოპოზიციურ პარტიას გადასაბირებლად თუ რასთან გვაქვს საქმე?*

— ეს განცხადება პირდაპირ მაგას ნიშნავს, რომ უკვე მათ უნდათ არა საარჩევნო გარემოს შეცვლაზე საუბარი, არამედ გარიგებაზე ოპოზიციის იმ ნაწილთან, რომელიც ამაზე წავა. იმედი მაქვს, „რვიანი" ასეთი სახის მოლაპარაკებებს არ დათანხმდება.

*— „რვიანში" რომ სერიოზული კრიზისია, ეს უკვე დიდი ხანია ნათელია. საზოგადოება ფიქრობს, რომ აქედან არაფერი გამოვა...*

— თუ ხელისუფლების ნება არ იქნება, რა თქმა უნდა, არაფერი გამოვა. ხელისუფლების ნება თუ იქნება იმისთვის, რომ იყოს თავისუფალი საარჩევნო გარემო, გათავისუფლდეს სასამართლო, იყოს დამოუკიდებელი მედია და კოდექსი გასწორდეს, ბუნებრივია, ამას წინ არაფერი დაუდგება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ხელისუფლებას არა აქვს ამის ნება და, მგონი, „რვიანიც" იყო მზად ამისთვის. მან კარგად იცოდა, რომ ხელისუფლება ამაზე არ წავიდოდა. ისინი ძალიან ხშირად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ მაისი არის ბოლო თვე, ბოლო ვადა ხელისუფლებისა, იტყვის თუ არა თანხმობას საარჩევნო გარემოს შეცვლაზე. როგორც ჩანს, ხელისუფლება ამაზე მაინც არ მიდის და, ალბათ, უახლოეს დღეებში „რვიანი" ამის შესახებ თავად განაცხადებს.

*— „რვიანში" შემავალი ოპოზიციური პარტიების ლიდერები აცხადებენ, რომ მათ აქვთ სხვა სამოქმედო გეგმა და, როგორც კი ხელისუფლება უარს იტყვის მოლაპარაკებებზე, ისინი ამ გეგმის განხორციელებას დაიწყებენ. თქვენი აზრით, მართლაც არსებობს ასეთი გეგმა თუ ისინი დათანხმდებიან ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს?*

— ზუსტად არ ვიცი, რა გეგმაზე საუბრობს „რვიანი", მაგრამ, ვფიქრობ, ამ ხელისუფლებასთან სასაუბრო ენა, როდესაც ასეთი ენა მას არ ესმის, როგორი ენითაც ესაუბრებოდა „რვიანი", რომ შევცვალოთ საარჩევნო გარემო და ქვეყანაში ჩავატაროთ დემოკრატიული არჩევნები, როდესაც ეს მოლაპარაკების გზით არ წყდება, მაშინ ეს უნდა გადაწყდეს საზოგადოების ზეწოლის გზით — აქციებით, მიტინგებით. სხვა დათმობაზე, როგორც ჩანს, ხელისუფლება არ წავა.

*— „რვიანი" აცხადებდა, რომ მათ ჰქონდათ საკმაოდ სერიოზული მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. რამდენად გამოადგებათ ახლა ეს მხარდაჭერა?*

— საერთაშორისო მხარდაჭერა რომ იყო, ეს მათი თქმის გარეშეც ჩანდა და არის კიდევაც დღესაც, მაგრამ, თუ ხელისუფლება ჩაიკეტა და გახდა შეუვალი, ბუნებრივია, ვერც თინა ქეიდენაუ შეძლებს ხელისუფლებისთვის აზრის შეცვლას, ვერც ობამა და ვერც ვერავინ. ამას თვითონ ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ სხვა გადარჩენის გზა იმავე ხელისუფლებას, რომ რაღაცნაირად შეინარჩუნოს ძალაუფლება და გააგრძელოს ქვეყნის მართვა, ის მეთოდები, რომლებიც აქამდე ჰქონდათ, უკვე აღარ გამოადგებათ, იმიტომ რომ ყველა საერთაშორისო კვლევა თუ შეფასება საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი დემოკრატიული თვალსაზრისით კატასტროფის ტოლფასია. ბუნებრივია, ასეთი შეფასებების მქონე ქვეყანას არავინ დაუჭერს მხარს, როგორც დემოკრატიულს და არავინ დაუდგება გვერდით არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად. ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ ეს მოთხოვნები — საარჩევნო გარემოს შეცვლა, დემოკრატიული არჩევნები, რაც თავის თავში გულისხმობს თავისუფალ მედიასა და დამოუკიდებელ სასამართლოსაც, აი, ამ ნაბიჯების გადადგმის გარეშე დღეს საქართველოს ხელისუფლებას აბსოლუტურად გადაკეტილი ექნება გზა ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოსთან. იზოლაციაში მოქცეული საქართველო კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს თუნდაც დიქტატურის შენარჩუნებას, იმ ავტორიტარული რეჟიმის შენარჩუნებას, რომელიც ჯერჯერობით კიდევ არის ქვეყანაში. ამასაც სჭირდება ფინანსები და ძალა. ეს ფინანსები თუ იმავე საერთაშორისო დახმარების წყალობით არ ექნა ამ ქვეყანას, ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დონე, იცით, რანაირია — მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს. თუ არა საერთაშორისო დახმარება, იგივე ეკონომიკური კუთხით, ბუნებრივია, ქვეყანა ვერ შეინარჩუნებს თავს და ვერ შეძლებს არსებობას. ხელისუფლებას ან წასვლა მოუწევს, ან პოლიტიკის შეცვლა. სხვა გამოსავალი საქართველოს ხელისუფლებას არ რჩება.



*— დღეს სასამართლო სისტემის არარსებობაზე ისეთებიც საუბრობენ, რომლებიც მუდმივად ამ ხელისუფლების ქება-დიდებაში იყვნენ...*

— განსაკუთრებით გირგვლიანის საქმის შემდეგ უკვე ამ თემაზე საუბარი, რომ ქვეყანაში არსებობს სასამართლო, უკვე ხელისუფლებასაც უჭირს. გირგვლიანის საქმეში ევროსასამართლომ პირდაპირ ჩაწერა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ისევე, როგორც პროკურატურა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, სასამართლოები, იგულისხმებოდა სასამართლოს ინსტანციები, პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გამოძიება წასულიყო არასწორი გზით და არ მომხდარიყო სწორი გამოძიება. ეს არის მხილება ხელისუფლებისა, ეს არის დადანაშაულება ხელისუფლებისა, თან, წარმოიდგინეთ, რამდენი შტოსი. პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ესენი ყველანი მოქმედებდნენ იმისათვის, რომ საქმე წასულიყო არასწორი გზით და არ გამოძიებულიყო. როდესაც ამას ლაპარაკობენ შენს სასამართლოებზე, შენს უწყებებზე, აი, ასეთ სიტუაციაში აბსოლუტურად წარმოუდგენელია ცივილიზებულ სამყაროსთან, თუნდაც ის შოუები, რომლებსაც სააკაშვილი აწყობდა, რომ ის შემხვდა და იქ მიმიღეს, დღეს აღარავინ აღარ ელაპარაკება მას. სხვა გზა აღარ არის — ან უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, ან უნდა შეიცვალოს ხელისუფლების პოლიტიკა მკვეთრად. ხელისუფლება, ალბათ, ვერ შეძლებს პოლიტიკის შეცვლას, იმიტომ რომ შიგნითვე აქვს მას პოლიტიკური პრობლემები. ალბათ, ძალიან მალე დადგება საკითხი იმისა, რომ ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს.

*— ქალბატონო ნანა, თქვენ გირგვლიანის საქმე ახსენეთ და აქვე არ შემიძლია არ გკითხოთ იმის შესახებ, თითქოს ვასილ სანოძის თვითმკვლელობის მცდელობა სწორედ ამ ფაქტს უკავშირდებაო. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიძლება, ეს სიმართლე იყოს?*

— ოფიციალური ვერსია, იცით, როგორიც არის. თვითმკვლელობის ვერსიასაც არ ამბობენ. ხელისუფლება ამბობს, რომ მას იარაღი გაუვარდა. ე.ი. მიიტანა ადამიანმა, „კანტროლკას" რომ ეძახიან, საფეთქელთან იარაღი და აი ამ „კანტროლკის" პოზაში მას თურმე იარაღი გაუვარდა. ეს ვერსია, რომელიც ხელისუფლებამ გაავრცელა, უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ სანოძის მკვლელობის მცდელობა თუ დაჭრა, მოდით, კონკრეტულ ფაქტზე ვილაპარაკოთ, სანოძის დაჭრა არის სერიოზული ეჭვის ქვეშ, იმიტომ რომ საფეთქელთან რატომ უნდა მიეტანა ღამის სამ საათზე იარაღი და მერე როგორ უნდა გავარდნოდა? ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ვერსია, რომელიც ხელისუფლებამ დაასახელა, აქაც რაღაც ხელისუფლების ინტერესები იმალება და ამ ყალბ ვერსიას იმიტომ ავრცელებენ. რეალურად მართლაც ასეა, ჯერჯერობით დაუდგენელია, ეს იყო თვითმკვლელობის მცდელობა, რომელშიც ასევე ხელისუფლება იქნება დამნაშავე, ბუნებრივია და სხვა ვერავინ, ან ვიღაცამ ესროლა მას. ეს ორი ვერსიაა. რა თქმა უნდა, ეს, ალბათ, გირგვლიანის საქმესაც უკავშირდება, რადგან გირგვლიანის საქმეში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ის მაგიდის წევრები, რომლებიც უშუალო კონტაქტში იყვნენ იმ ადამიანებთან, რომლებმაც ჩაიდინეს წამება, ღირსების შემლახველი მოპყრობა და სატელეფონო ზარებია მითითებული, მათი საქმე უნდა იქნეს გამოძიებული და აღიძრას სისხლის სამართლის საქმე სწორედ ამ მაგიდის წევრებზე, რომელთაგან ერთ-ერთი, რა თქმა უნდა, იყო ვასილ სანოძე, სალაყაიასთან, ახალაიასთან და დონაძესთან ერთად.

*— ქალბატონო ნანა, რაც შეეხება იმ ოპოზიციურ ნაწილს, რომელიც რადიკალურად იწოდება, თქვენთვისაც ცნობილია, რომ სახალხო კრებამ შეკრების თარიღი დაასახელა, თუმცა, კონკრეტულ გეგმაზე არ უსაუბრიათ. რას ელით თქვენ, რამდენად წარმატებული იქნება ეს გამოსვლები?*

— რომ ვიკრიბებით, გასაგებია, მაგრამ, როდესაც არ ჩანს კონკრეტული გეგმა, რომელიც თქვენც აღნიშნეთ, გასაგებია ისიც, არ გვინდა, წინასწარ ვუთხრათ ხელისუფლებასო, მაგრამ მოძრაობა ქვეყანაში, ქალაქში ამ მიმართულებით ისე კარგად არ შეიმჩნევა, რომ შესაძლებელი იყოს პროგნოზის გაკეთება, რა მოხდება 21-ში. უფრო სწორად, რაიმე სერიოზული და დიდი აქციის ჩატარების ფონი ჯერჯერობით არ ჩანს. თუმცა, 21-მდე ჯერ კიდევ არის საკმარისი დრო, რომ კრებისა და ამ აქციების ორგანიზატორებმა შეძლონ საზოგადოებასთან მუშაობა. არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, მე არ ვიცნობ მათ გეგმას და, აქედან გამომდინარე, ვერ გეტყვით, რა შედეგები შეიძლება იყოს. მოლოდინები ძალიან ნაკლები მაქვს ჯერჯერობით და ვნახოთ, რა იქნება. თუ იქნება მორიგი იმედგაცრუება, ეს იქნება ძალიან ცუდი და მით უმეტეს ამ დროს, როდესაც ამხელა მხარდაჭერაა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ასეთი მზაობაა, რომ ხალხის გვერდით დადგნენ. თუ ეს პროცესები არ წარიმართა სწორად და მოხდა ისევ იმედგაცრუება, ეს იქნება სერიოზული დარტყმა ქვეყნის განვითარების ხაზზე.

*— საუბარია იმის თაობაზეც, რომ დღეს ქაოსი, აქციები და არეულობა ხელისუფლებას აწყობს და სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. როგორ ფიქრობთ, სჭირდება დღეს სააკაშვილს ქაოსი?*

— საპროტესტო ტალღები და ხელისუფლებისთვის ულტიმატუმის წამოყენება მუდმივად უნდა იყოს, იმიტომ რომ ქვეყანაში ისეთი პრობლემებია, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას დუმილისა და სახლში ჯდომის უფლება მორალურადაც არა აქვს. როდესაც ქვეყანაში არ არსებობს სასამართლო, არ არსებობს სამართალი და პატიმრები ყოველდღიურად იხოცებიან, გარეთ ხალხი შიმშილობს, არ არსებობს თავისუფალი მედია, თავისუფალი გარემო და ამ დროს პრეტენზია აქვს ხელისუფლებას, რომ დემოკრატიულ საზოგადოებას, დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებს, ასეთ სისტემაში ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ ისხდნენ სახლში და ელოდონ, რა იქნება ხვალ. ყველა უნდა იბრძოდეს თავისი ღირსების და უფლების დასაცავად. სწორედ უფლებებისათვის ბრძოლაა ის, რომ ადამიანები გამოდიან ქუჩაში და უყენებენ ხელისუფლებას სხვადასხვა ულტიმატუმს. ეს პროცესი ქვეყანაში აუცილებლად უნდა განვითარდეს. უბრალოდ, აქ საუბარია იმაზე, რომ გადატრიალების, რევოლუციისა და სისხლის ღვრის გზით არ არის სახარბიელო ხელისუფლების შეცვლა. ხელისუფლება უნდა იცვლებოდეს არჩევნებისა და დემოკრატიის გზით, მაგრამ, მეორეც არსებობს — როდესაც ხელისუფლება საზოგადოებას აღარ უტოვებს არჩევანს და არ აძლევს საშუალებას, გამოიყენოს კონსტიტუციური უფლება, აირჩიოს ან გადაირჩიოს ხელისუფლება, ბუნებრივია, მერე ხალხი გადადის რევოლუციაზე. მე ჯერ კიდევ იმედი მაქვს იმისა, რომ იგივე საერთაშორისო ზეწოლით, იგივე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ძალისხმევით შესაძლებელია ამ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილება კონსტიტუციური და იურიდიული გზით. მხოლოდდამხოლოდ საზოგადოების აქტიური ზეწოლა, მათი გამოსვლა ქუჩებში და მოთხოვნების დაყენებაა ერთადერთი მექანიზმი ამ ხელისუფლებაზე ზეწოლისა და იმისა, რომ ამ ხელისუფლებამ დათმოს ის, რაც ხალხის საკუთრებაა. ასევე ოპოზიციური პარტიების ვალია, რომ მათ მოახერხონ და დადგნენ ერთად, რათა ხალხს ჰქონდეს ერთიანობის განცდა, თუნდაც ურეიტინგო ოპოზიციის ერთიანობისა, მაგრამ ეს უნდა იყოს ერთიანობის განცდა. ხალხი უნდა ხედავდეს, რომ ერთ მხარეზეა ეს უსამართლო ხელისუფლება და მეორეზე — სრულიად საზოგადოება თავისი პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური სპექტრით. მოლოდინია, რომ ეს პროცესი აუცილებლად დაიწყება, ვიღაცა ამას აუცილებლად დაიწყებს.

# ხელისუფლება დევნილთა უფლებებს არღვევს

გულიკო ბალა ე

**ცოტა ხნის წინ საქართველოს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი თომას ჰამერბერგი სტუმრობდა. თომას ჰამერბერგის სტუმრობით ისარგებლა უპარტიოთა მოძრაობის ლიდერმა მამუკა გვაძაბიამ. იგი ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს შეხვდა და ესაუბრა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თაობაზე.**

მამუკა გვაძაბია ცდილობს მიაღწიოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ნაწილობრივ როტაციას მაინც. ამისთვის ის წარმომადგენლობითი დევნილთა ყრილობის ჩატარებასა და უმაღლეს საბჭოში დევნილთა წარმომადგენლების, ანუ დეპუტატების გარკვეული რაოდენობის არჩევას მოითხოვს.



ამის გამო მამუკა გვაძაბიამ ჰამერბერგთან შეხვედრამდე საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაეროს, ევროსტრუქტურებსა და საქართველოს ხელისუფლებასაც მიმართა წერილით, სადაც წერდა, რომ საქართველოში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სახით ფუნქციონირებს არალეგიტიმური ორგანო.

შემდეგ მან წამოაყენა წინადადებები უმაღლესი საბჭოს გალეგიტიმურების შესახებ. გარკვეული კონსულტაციები ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებასთან. ამჯერად კი მან ამ საკითხში დახმარება ჰამერბერგს სთხოვა.

მამუკა გვაძაბია მიიჩნევს, რომ საქართველოში დევნილთა უფლებები ირღვევა, რადგან დევნილს უფლება არ აქვს, რომელიმე წარმომადგენლობით ორგანოში თავისი წარმომადგენელი აირჩიოს. რა სთხოვა მამუკა გვაძაბიამ ჰამერბერგს და რა უპასუხა მას ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.

*— ბატონო მამუკა, რა მიზანს ისახავდა ჰამერბერგთან თქვენი შეხვედრა?*

— ბატონი ჰამერბერგი საქართველოში ჩამოსული იყო ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო. მე თავიდან ბოლომდე მოვუსმინე მის ბრიფინგს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახალხო დამცველისა და ევროსაბჭოს უმაღლესი კომისრის ჰამერბერგის პოზიცია საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. იყო შენიშვნები და საკმაოდ კრიტიკული მიდგომა საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევებზე, მაგრამ საკმაოდ კეთილგანწყობილი კრიტიკა გახლდათ. გაბრაზებული კრიტიკა არ იყო. ჰამერბერგი თავის მოსაზრებებს საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციების სახით წარუდგენს ზაფხულის შუა რიცხვებამდე, მათ შორის, მართლმსაჯულების, საპყრობილეებში პატიმრების მდგომარეობის შესახებ. ბრიფინგის დამთავრების შემდეგ მომეცა საშუალება, ერთი-ერთზე გავსაუბრებოდი ბატონ ჰამერბერგს. მე სპეციალურად ვთხოვე თარჯიმანს, დასწრებოდა ჩვენს საუბარს. ჩვენ ვისაუბრეთ (უფრო სწორად, ჩემი მონოლოგი და მისი რამდენიმე შეკითხვა იყო) აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურის მდგომარეობის შესახებ, რომელიც დღეს ქალაქ თბილისშია განთავსებული. მე მას ავუხსენი ამ ორგანოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესახებ. მას ვუთხარი, რომ ეს ორგანო არჩეულია 1991 წლის სექტემბერში და იგი არის აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნარჩენები ამ სიტყვის სამართლებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობით.

*— ჰამერბერგმა რა გკითხათ?*

— გეტყვით. როდესაც მოხდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპაცია და ეთნიკური წმენდა, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დევნილობა, ბუნებრივია, ამას მოჰყვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დევნილობა ქალაქ თბილისში. ჰამერბერგს ავუხსენი, რომ ამ ორგანოს როტაცია 20 წლის განმავლობაში არ მომხდარა. ისიც ავუხსენი, რომ მას შემდეგ, რაც უფლებამოსილებათა შეწყვეტისა და ბუნებრივი პროცესების შედეგად ამ ორგანოს გამოაკლდა დეპუტატების გარკვეული რაოდენობა, კვოტის შესაქმნელად აუცილებელი გახდა მისი შევსება დეპუტატების

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ბაქრაძე ქალების უფლებებს დაიცავს

ნანა მიშელაშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე იმ კანონების მიღებას აპირებს, რომლებიც ქალთა უფლებებს დაიცავს. დავით ბაქრაძის განცხადებით, პარლამენტისათვის მნიშვნელოვანია, მიიღოს ყველა ის კანონი და მექანიზმი, რომლებიც სრულად დაიცავს ქალთა უფლებებს.

პარლამენტის თავმჯდომარე დაესწრო მულტი-სექტორულ შეხვედრას „თანამშრომლობა გენდერული ძალადობის დაძლევისათვის საქართველოში“.

ჟურნალისტებთან საუბარში ბაქრაძემ განაცხადა, რომ ოჯახური ძალადობა არის ერთ-ერთი პრიორიტეტული და აქტუალური თემა საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც ცნობილია, როგორც დემოკრატიული თანამეგობრობა, ამიტომ საქართველო, რომელიც ესწრაფვის, იყოს ევროკავშირისა და დემოკრატიული თანამეგობრობის ნაწილი, ადეკვატურ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს.

— აღნიშნული თემა ჯერ კიდევ ხშირად ტაბუირებულია, კიდევ ხშირად ხდება ბევრი ქალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, თუმცა, ისინი ერიდებიან ამ საკითხზე საჯაროდ საუბარს. ჩვენი ამოცანაა, ერთი მხრივ, შედგეს ამ თემაზე საჯარო დისკუსია და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა მიიღოს ყველა ის კანონი და მექანიზმი, რომლებიც სრულად დაიცავს ქალთა უფლებებს, დაიცავს ქალებს ძალადობისგან და უზრუნველყოფს, რომ საქართველოში გენდერული ძალადობის დონე იყოს მინიმალური, ისეთი, როგორიც შეეფერება საქართველოს ტრადიციებსა და ისტორიას, — აღნიშნა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ ისიც განაცხადა, რომ ამ თემაზე მსჯელობა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ რეგიონში არსებულ მდგომარეობას ეხება. დავით ბაქრაძის აზრით, გენდერული ძალადობის თემატიკასთან დაკავშირებით ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში საზოგადოების მენტალობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და მის უდიდეს ნაწილს კარგად ესმის პრობლემის სერიოზულობა. მისივე თქმით, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტმა რამდენიმე კანონი მიიღო, თუმცა, არის რეზერვი, რომ კანონმდებლობა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს და უფრო სამართლიანი გახდეს.

დავით ბაქრაძის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია არა მარტო კანონების მიღება, არამედ, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, რომლის ერთ-ერთი მაგალითია პლენარულ სხდომაზე პარლამენტის მიერ დადგენილების პროექტის „გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განხილვა.

— ეს არ არის მხოლოდ დოკუმენტი, არამედ არის ის, რაც უახლოესი წლების მანძილზე უნდა გატარდეს ცხოვრებაში და რაც უნდა იყოს საფუძველი ამ სფეროში სახელმწიფოს ჩარევისა, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, გენდერული საკითხები არის ის სფერო, რომელშიც პარლამენტი და არასამთავრობო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება ყველაზე წარმატებულად, შედეგზე ორიენტირებულად თანამშრომლობს.

დავით ბაქრაძის თქმით, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ გენდერული ძალადობის დაძლევის საკითხზე მსჯელობის დროს საქართველოს რეგიონის მასშტაბით ლიდერობის ჯანსაღი ამბიცია აქვს.

პარლამენტში გამართულ შეხვედრას საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი სანდრო ურუშაძე და სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში დაესწრნენ.



# საქართველოში ხელისუფლება შეიძლება შეიცვალოს

## რისი იმედი აქვს რამაზ საყვარელი ეს

გერა მამულაშვილი

**პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ინტერვიუს რუსული „რეგნუმი“ აქვეყნებს. მასალას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**



***— საქართველოში მიტინგების დაწყების ვადა გამოცხადებულია. 21 მაისს წარმომადგენლობითი სახალხო კრება თბილისსა და რეგიონებში ერთდროულ მასშტაბურ საერთო-სახალხო გამოსვლებს იწყებს. ამ საზოგადოებრივი გაერთიანების ლიდერების მიზანი, ამჟამინდელი მათი შეფასებით, უსამართლო და დიქტატორული რეჟიმის შეცვლაა.***

— როგორ განვითარდება ამჯერად საქართველოში მოვლენები? რადგან ანალოგიური ვადები არაერთხელ დასახელდა, საპროტესტო აქციები საკმაოდ მასშტაბური იყო, მოლოდინები და იმედებიც ძალიან დიდი გახლდათ, მაგრამ ყველა გამოსვლა უშედეგოდ მთავრდებოდა, რამაც საზოგადოებაში გარკვეული ნიჰილიზმი და აპათია დათესა.

***— როგორ ფიქრობთ, რამდენად არის მზად ქართველი ხალხი საერთო-სახალხო გამოსვლებისთვის, რომელთა 21 მაისს დაწყებაზეც წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ გამოაცხადა?***

— ბოლო თვეების მოვლენები გვაიძულებს, ბევრ რამეზე დავფიქრდეთ და მათზე დაყრდნობით ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ადვილი არ არის. საქმე ის არის, რომ არაბულ ქვეყნებში მასობრივი გამოსვლებისთვის ხალხის მზადყოფნის შესახებ არანაირი საუბრები არ მიდიოდა. ამიტომ იქ განვითარებულმა მოვლენებმა, შეიძლება ითქვას, ყველა ფაქტის წინაშე დააყენა.

რაც შეეხება ქართველ ხალხს, პროტესტი არის, მაგრამ ჯერჯერობით შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, საკმარისია თუ არა ეს პროტესტი, რომ სახალხო წინააღმდეგობის ტალღა აზვირთდეს. ხალხის მზადყოფნას მხოლოდ დრო აჩვენებს.

***— როგორ აფასებთ წარმომადგენლობით სახალხო კრებას, მის შესაძლებლობებსა და ძალებს?***

— სახალხო კრება, როგორც ორგანიზაცია, ახალი არ არის. მსგავსი წარმონაქმნები იქმნებოდა და არსებობდა ადრეც. მაგრამ, მეორე მხრივ, ბოლო დროისთვის ამ გაერთიანებაში ძალიან ბევრი სპეციფიკურობაა. კრების მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მასში წამყვან როლს თამაშობენ არა პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები, არამედ ინტელიგენციისა და საზოგადოებრიობის ცნობილი წარმომადგენლები. ეს მომენტი კრებას რაღაც სიახლეს ანიჭებს.

მოცემულ ეტაპზე კრების შესაძლებლობებთან დაკავშირებით რაიმე პროგნოზების გაკეთება რთულია. ამ შემთხვევაში ხომ ქუჩაში გამოდის არა რომელიღაც პარტია ან ბევრი პარტია და მათი მომხრეები, არამედ ქუჩაში გამოდის უკვე ხალხი. ამა თუ იმ პარტიის პროგრამები ჩვენ ვიცით, ხოლო ხალხის პროგრამა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

***— ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები როგორღაც სახალხო კრების გვერდით არ დგანან და ჯერჯერობით აცხადებენ, რომ საერთო-სახალხო გამოსვლებში მონაწილეობას არ მიიღებენ. როგორ ფიქრობთ, შეუერთდებიან თუ არა პარტიები ამ გამოსვლებს, თუ იგი მართლაც ფართომასშტაბიანი გახდება?***

— ხალხის გარეშე, მისი მხარდაჭერის გარეშე პარტიები, უბრალოდ, პოლიტიკურ კლუბებს წარმოადგენენ. ვფიქრობ, არც ერთ ოპოზიციურ პარტიას არ მოესურვება, ასეთი კლუბის როლში აღმოჩნდეს. თუ ოპოზიცია დაინახავს, რომ ხალხი კრებას მხარს უჭერს, რომ ხალხი ქუჩებში გამოვიდა და ღია პროტესტს გამოხატავს, ვფიქრობ, ბევრი ოპოზიციური პარტია ასევე აღმოჩნდება ამ მოვლენების ქარცეცხლში.

***— ოპოზიციის წინა გამოსვლებზე მთავრობის რეაქცია მკვეთრი იყო და ერთხელ, 2007 წლის ნოემბერში, ეს მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დარბევით გამოიხატა. როგორი იქნება ეს რეაქცია 21 მაისს და შემდგომ დღეებში, თუ საქართველოში ფართომასშტაბიანი გამოსვლები დაიწყება?***

— ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობა საკმაოდ ფრთხილად მოქმედებს და, თუმცა კრების გეგმებთან დაკავშირებით ბევრი განცხადება კეთდება, ხელისუფლების მხრიდან მკაცრი რეაქცია, დევნა ჯერჯერობით არ შეინიშნება, რაც ასევე თვალშისაცემია.

ასეთი დამოკიდებულება საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ მთავრობა ფრთხილად იმოქმედებს შემდგომშიც და ძალის გამოყენებას არ იჩქარებს, მით უმეტეს, რომ საერთაშორისო პუბლიცისტიკაში ამასთან დაკავშირებით საკმაოდ მკვეთრი კრიტიკა გაისმის.

***— წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ თავის მთავარ მიზნად ამჟამინდელი რეჟიმის შეცვლა გამოაცხადა. რამდენად მიღწევადია ეს მიზანი, იმ ანალოგიური მიზნების გათვალისწინებით, რომლებსაც საკუთარი თავის წინაშე არაერთხელ ისახავდნენ ოპოზიციური პარტიები და რომლებსაც ვერ აღწევდნენ?***

— საქართველოში რეჟიმის შეცვლის, ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობა დღეს ყველაზე მეტ ეჭვს იწვევს. მაგრამ, თუ არაბულ ქვეყნებში მოვლენების განვითარებას შევხედავთ, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს შემთხვევაშიც არაფერი შეუძლებელი არ არის.

აქ მთავარია, რამდენად მზად არის ხელისუფლების შეცვლისთვის თავად წარმომადგენლობითი სახალხო კრება, რადგან სურვილი ერთია, ხოლო ასეთი სერიოზული პროცესების გენერაციისთვის პირველ რიგში საჭიროა კარგი ორგანიზაცია. აქვს თუ არა სახალხო კრებას ასეთი პოტენციალი, მე ჯერ არ ვიცი. ვფიქრობ, ამასაც მომავალი გვიჩვენებს.

# აფხაზეთს სრული ანექსია ემუქრება

ნანა მიშელაშვილი



ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია აფხაზ სეპარატისტთა ახალ გადაწყვეტილებას აპროტესტებს. პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთში მცხოვრები ე.წ. რუსეთის მოქალაქეების რუსეთის სოციალურ სისტემებზე მიბმას აპროტესტებს და საქართველოს ხელისუფლებას რეაგირებას სთხოვს.

პაატა დავითაიას თქმით, დღემდე აფხაზეთის მცხოვრები, რომელსაც დანაშაულებრივი გზით აქვს მიღებული ე.წ. რუსეთის მოქალაქეობა, ე.წ. რუსულ პენსიას მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდა, თუკი ადლერის ოლქში იყო დარეგისტრირებული. ახლა კი რეგისტრაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე, მოქალაქის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მიხედვით ხდება.

— საქართველოს მოქალაქეების სახლებში მცხოვრები ე.წ. რუსეთის მოქალაქეები, რომლებმაც მიითვისეს ეს სახლები, ახლა იღებენ პენსიას უკვე ფაქტობრივ მისამართზე. ეს კი ნიშნავს, რომ აქ საუბარი აღარ არის აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე და ეს არის მტკიცებულება იმისა, თუ როგორ ებმება აფხაზური სოციალური სისტემა რუსეთის ფედერაციას და როგორ ხდება სრული ანექსია, — აღნიშნა ვიცე-სპიკერმა.

პარტიის „ჩვენ თვითონ“ ლიდერის შეფასებით, ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობაზე საუბარი აღარ არის და რეგიონის სრული ანექსია ხდება.

პაატა დავითაიამ ამ საკითხზე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება და ამ ნაწილის საერთაშორისო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე მიბმა მოითხოვა.

# ოთარ მეღვინეთუხუცესი პრემიერისთვის ემზადება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შეჩერდა. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება დავით საყვარელიძეს ეკუთვნის, კოსტიუმებზე დიზაინერმა იკა ბობოხიძემ იზრუნა. ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდა, სპექტაკლში მონაწილეობენ ზურაბ სტურუა, თემო კილაძე, ალექსანდრე გეწაძე, ავთანდილ მიქაძე, ვაჟა კვიტაიშვილი და თეატრალური უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები. რეჟისორი დავით საყვარელიძე კი მაყურებელს ისევ აკა მორჩილაძის სიტყვებით მიმართავს: „...მაშინ აღესრულება, როცა წიგნების გადაწერას დაასრულებს, რადგან დავრწმუნდი — წიგნის წერობას ბოლო არა აქვს, ისევე, როგორც ქვეყანას...“

სპექტაკლის პრემიერას თავად მწერალიც დაესწრება. ლიტერატურული პრემია „საბას“ 4-გზისა და სხვადასხვა ლიტერატურული პრემიების მფლობელი აკა მორჩილაძე ლონდონში უქმად არ ყოფილა და ორი წიგნი ინგლისურადაც დაწერა. ხანგრძლივი განშორების შემდეგ ის კვლავ დაუბრუნდა სამშობლოს. იგი ლონდონიდან ჩამოვიდა და ილიას უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრაც გამართა. მწერალმა თანამედროვე ლიტერატურაზე ისაუბრა. გიო ახვლედიანი, იგივე აკა მორჩილაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „2009-2010 წლის საუკეთესო ქართული რომანის“ პრემიის მფლობელია. შეხვედრა მიეძღვნა თანამედროვე ლიტერატურას. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, მწერლისთვის კითხვები მათთვის საინტერესო თემებზე დაესვათ და პასუხებიც მიეღოთ.

აკა მორჩილაძე ლონდონში დაბრუნებას ისევ აპირებს. თუმცა, მანამდე ცნობილი გახდა, რომ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა აკა მორჩილაძის ყველა ნაწარმოების თავიდან გამოცემას აპირებს. მწერალი კი უახლოეს მომავალში ერთგულ მკითხველს საქართველოს ისტორიის შესახებ უბრალოდ საკითხავ წიგნს შესთავაზებს.


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.
- გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.
- სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი ყავლაშვილის პროექტის იზოლირებული ბინა 16 (17), ნუცუბიძის ფერდობი IV, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარის, ბ/აივ\ნი, გაჯით გალესილი, მეტალოპლასტმასის ფანჯრები, სამზარეულო-შემოსასვლელი მეტლახის იატაკით, პლასტმასის მილებით, რკინის კარი, ტელეფონი, აიეტი, ინტერნეტი. ტელ: 855 75 03 35; 871 004 160.

# „ბარსას“ „მანჩესტერი“ შეუწყვილდა

**მანჩესტერი — შალკე**

**4:1 (2:1)**

**1:0 ვალენსია (26), 2:0 გიბსონი (31), 2:1 ხურადო (35), 3:1, 4:1 ანდერსონი (72, 76)**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, რაფაელი (ევრა 60), სმოლინგი, ევანსი, ო□ში, გიბსონი, სქოულზი (ფლეტჩერი 73), ანდერსონი, ვალენსია, ბერბატოვი (ოუენი 77), ნანი

**შალკე:** ნოიერი, უჩიდა, ჰიოვედესი (ჰუნტელაარი 70), მეტცელდერი, ესკუდერო, პაპადოპულოსი, ხურადო, ფარფანი (მატიპი 75), ბაუმიოჰანი (ედუ 46), დრაქსლერი, რაული

ჩემპიონთა ლიგის ბოლოსწინა მატჩმა მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. ნახევარფინალური წყვილის ფავორიტმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პირველ მატჩში მოპოვებული უპირატესობა უპრობლემოდ შეინარჩუნა და მეტიც — ფერგიუსონის გუნდმა კიდევ უფრო დაამტკიცა, რომ ფინალში გასვლას იმსახურებდა.

შოტლანდიელმა სპეციალისტმა წამყვანი ფეხბურთელები პრემიერლიგაში, „ჩელსისთან“ გასამართი მატჩისთვის შემოინახა. მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერს“ მნიშვნელოვნად შესუსტებული შემადგენლობით უწევდა თამაში, ინგლისელებს ერთი წუთითაც არ დაუყენებიათ ეჭქვეშ მეტოქეზე საკუთარი უპირატესობა.

შეხვედრა 26 წუთის დაწყებული იყო, როდესაც მოედნის ცენტრთან ახლოს მყოფმა გიბსონმა ბრწყინვალე გადაცემით ვალენსია ნოიერთან პირისპირ გაიყვანა და ეკვადორელმა შეხვედრის პირველი გოლი გაიტანა. ხუთ წუთში გოლის ავტორად უკვე გიბსონი მოგვევლინა, რომელსაც ვალენსიამ „ვალი დაუბრუნა“. შეტევის მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილმა ეკვადორელმა შემტევმა ცოტათი უკან მყოფ თანაგუნდელს დაუგორა ბურთი და გიბსონმაც ძლიერი დარტყმით ნოიერმს მე-2 გაუტანა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გოლის დროს შეცდომა დაუშვა პირველ მატჩში ბრწყინვალედ მოთამაშე ნოიერმა. გერმანელმა კიპერმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ბურთის დაჭერა დააპირა. გიბსონის დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ნოიერს მისი მოგერიება მართებდა.

სტუმრებმა ერთი ბურთი მალევე გაქვითეს. მარჯვენა ფლანგიდან უჩიდას ჩაწოდების შემდეგ მანჩესტერელებმა ბურთი საჯარიმოდან ვერ გამოიტანეს და დაახლოებით 15 მეტრიდან ხურადომ ვან დერ სარს აუღებელი დაურტყა. პირველივე ტაიმში დუბლის შესრულება შეეძლო ვალენსიას, რომელმაც ნოიერის მოტყუება კი მოახერხა, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ ბურთი „შალკეს“ მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა.

„მანჩესტერი“ მეორე ტაიმის დასაწყისშიც ფლობდა უპირატესობას, მაგრამ 70-ე წუთზე მოედნიდან ჰიოვედესის გასვლამ „შალკეს“ დაცვა კიდევ უფრო უსუსური გახადა, რის შედეგადაც, მანჩესტერულ კარიერაში პირველად, დუბლი გაიფორმა ანდერსონმა. 72-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან ნანის გადაცემის შემდეგ, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ბოლომდე იბრძოლა და ნოიერის კარში მე-3 გოლი გაიტანა, ხოლო ოთხ წუთში, კვლავ მარჯვენა ფლანგიდან შეტევის დროს, ბერბატოვის გადაცემის შემდეგ, ანდერსონმა ბურთი ცარიელ კარში მშვიდად შეაგორა.

ამრიგად, რაც აქამდეც ცნობილი იყო, „ოლდ ტრაფორდზე“ გამართულმა შეხვედრამ ოფიციალურად დაადასტურა — 28 მაისს „უემბლიზე“ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის 2009 წლის ფინალისტები, „ბარსელონა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“, დაუპირისპირდებიან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# „გაგრის“ ქართული ისტორია

**ზესტაფონი — ტორპედო 0:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი. 4.500 მაყურებელი**

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ალადაშვილი, გ.ონიანი, ხიდეშელი, მ.დაუშვილი, გ.ფოფხაძე (წინამძღვრიშვილი 70), ბაბუნაშვილი (გორგიაშვილი 64), დვალი, გელაშვილი, აფციაური (ჭანკოტაძე 78), გრიგალაშვილი

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, ს.თოდუა, ფარულავა, ჩიკვილაძე, დოლიძე (თარხნიშვილი 89), სეთურიძე, ქებაძე (საბანაძე 78), გ.დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, ვ.კვარაცხელია (მეგრელაძე 62)



განმეორებით ნახევარფინალურ სათასო შეხვედრას ზესტაფონში ძალზე დიდი ინტერესით ელოდნენ ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრები. როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი ძალზე დაძაბული გამოდგა. სამწუხაროდ, იყო უსიამოვნო პრეცედენტები, რომლებმაც აღნიშნულ შეხვედრას გარკვეული დაღი დაამჩნია, თუმცა, სჯობს, მოვლენებს თანამიმდევრობით მივყვეთ.

ყველასთვის მოულოდნელად მატჩი ტორპედოელთა უპირატესობით დაიწყო, არადა, გოლის გატანა მასპინძლებს უფრო სჭირდებოდათ. სტუმრები მეტს მოძრაობდნენ და მოწინააღმდეგის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნაც მოახერხეს. რიონისპირელთა უპირატესობა განსაკუთრებით ნახევარდაცვის ხაზში შეიმჩნეოდა. პირველი სახიფათო მომენტი მე-4 წუთზე შეიქმნა, როდესაც სეთურიძემ კარგი რეიდი წამოიწყო და მასპინძელთა საჯარიმოსთან შეუფერხებლად მივიდა, საიდანაც ძლიერად დაჰკრა — ბურთი ოდნავ ასცდა კარს. სულ მალე იმავე მანძილიდან დარტყმის საშუალება ჩიკვილაძესაც მიეცა, თუმცა, მისი მცდელობა კიდევ უფრო არაზუსტი გამოდგა.

მე-16 წუთზე „ტორპედოს“ ფეხბურთელები ვალდებულნი იყვნენ, ანგარიში გაეხსნათ, როდესაც დოლიძე-კვარაცხელიას გათამაშების შემდეგ მეკარესთან პირისპირ ქებაძე დარჩა და თითქოს გოლიც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ქუთათურთა ნახევარმცველმა არაზუსტად დაარტყა.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა 23-ე წუთზე შექმნეს, როდესაც კუთხურიდან ჩამოწოდების შემდეგ ბურთი ბაბუნაშვილს მიუვიდა — მან საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დაჰკრა, თუმცა, ამ შემთხვევაში დილმელაშვილმა ითამაშა თავგანწირვით და თავისი გუნდი აშკარა საფრთხისაგან იხსნა. სულ მალე ქუთაისელთა კართან პირველი საგოლე მომენტი შეიქმნა, როდესაც აფციაურის გადაცემის შემდეგ დვალი მიგინეიშვილთან პირისპირ აღმოჩნდა, რომელსაც უკან ადევნებული ქებაძე ხელს უშლიდა. მეურვესთან ჭიდილში ჯაბა „ტორპედოს“ საჯარიმოში გართხმული აღმოჩნდა. ზესტაფონელები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ კრიჭაშვილმა სხვაგვარად განსაჯა და თამაშის წესების დარღვევა არ დააფიქსირა.

ტაიმის ბოლომდე სახიფათო მომენტი აღარ შექმნილა, მოედანზე კი სიტუაცია 38-ე წუთზე დაიძაბა, როდესაც ონიანი და კვარაცხელია წაკინკლავდნენ, რის შედეგადაც ფეროელთა კაპიტანი წაიქცა. ქუთაისელთა ფორვარდი ირწმუნებოდა, რომ იგი ონიანს თავით არ შეხებია. კრიჭაშვილმა ასისტენტ მენთეშაშვილთან კონსულტაციის შემდეგ ორივე ფეხბურთელს ყვითელი ბარათები ჩამოურიგა.

მეორე ნახევარი, პირველისაგან განსხვავებით, მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. მართალია, მათ რაიმე განსაკუთრებული მიგინეიშვილის კართან არ შეუქმნიათ, მაგრამ უფრო მოტივირებულად კი გამოიყურებოდნენ. ორჯერ ტორპედოელთა კარს გელაშვილი დაემუქრა, მაგრამ პირველ შემთხვევაში მეკარეს ვერ აჯობა, ხოლო მეორედ დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. 62-ე წუთიდან თამაშში გია მეგრელაძე ჩაერთო, რომელსაც მალევე შეეძლო შეხვედრის ბედის გადაწყვეტა. საკუთარ ნახევარზე აფციაურმა ითამაშა არადამაჯერებლად და ბურთი დაკარგა, რითაც ისარგებლა სეთურიძემ, რომელიც ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოს მისადგომებთან მდგომ ქებაძეს უპასა. ქუთაისელთა ნახევარმცველს დარტყმა თავად შეეძლო, მაგრამ ორიგინალურად ითამაშა და მეგრელაძეს გადააწოდა. გამოცდილ ფორვარდს ხელსაყრელი სიტუაციიდან ზუსტი დარტყმა არ გამოუვიდა. მალევე მეგრელაძე ჩიკვილაძის ჩაწოდებულს გამოეხმაურა, მაგრამ ამჯერად როინ კვასხვაძემ ითამაშა დამაჯერებლად. 76-ე წუთზე ისევ მეგრელაძე ურტყამდა სახიფათოდ ფეროელთა კარის მიმართულებით, მაგრამ მასპინძელთა კიპერმა საკუთარი კარის ცხრიანისკენ მიმავალი ბურთი აკრობატულ ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

თამაშის ბოლოს ზესტაფონელებმა ქაოტურ შეტევებს მიმართეს, რომელიც უშედეგოდ სრულდებოდა. ამასობაში, ტორპედოელებმა დროის გაყვანის ტაქტიკასაც მიჰყვეს ხელი, რაც ტრავმების იმიტაციით გამოიხატებოდა. ეს მასპინძელთა ქომაგების უკმაყოფილებას იწვევდა. მატჩის ბოლო წუთზე ჯაბა დვალს შეეძლო, თამაში დამატებით დროში გადაეყვანა, როდესაც საპენალტე ნიშნულიდან შეუფერხებლად ურტყამდა, მაგრამ მიგინეიშვილმა ითამაშა ჩინებულად და ბურთი მოიგერია. დამატებაზე მყოფ ფორვარდებს კი თოდუამ აღარ აცალა და თავგანწირვის წყალობით ბურთის საჯარიმოდან გატანა შეძლო.

აქვე უნდა ვახსენოთ ის სამწუხარო ფაქტებიც, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში ღვივდებოდა. ნებისმიერ სადავო სიტუაციაში მეტოქე გუნდების ქომაგები ერთმანეთს უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდნენ. თამაშის დასასრულს ქუთათურებმა ემოციები გულმხურვალედ გამოხატეს, რამაც ადგილობრივი ფანების განრისხება გამოიწვია. თავის მხრივ, სტუმართა გულშემატკივრები ძალიან ცუდად ექცეოდნენ მასპინძელი გუნდის ფეხბურთელებს. თამაშის მსვლელობისას იყო შემთხვევები, როდესაც მათი სექტორიდან სხვადასხვა საგნები მოედანზე ცვიოდა. ნამატჩევს კი, როგორც გაირკვა, „ტორპედოს“ ფანების წყალობით, დაახლოებით 300-მდე სკამი დამტვრეული იყო. როგორც „ზესტაფონის“ კლუბის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, დავით აბაშიძეზე მე-6 სექტორი ფაქტობრივად აღარ არსებობს. სამწუხაროდ, თავი მასპინძელთა ქომაგებმაც „გამოიჩინეს“ და ქომაგთა ავტობუსებს ქვები დაუშინეს. მოკლედ, საბედნიეროდ, ყველაფერი უმსხვერპლოდ დასრულდა, ორი მატჩის ჯამში კი „ტორპედო“ ფინალში დამსახურებულად გავიდა.

**ვიტ ჯორჯია — გაგრა 2:4**

**თბილისი. სპორტკომპლექსი შატილი**

**0:1 კვანტალიანი (42), 1:1 ჩიმაკაძე (45), 1:2 ოვონიკოკო (56), 1:3 ოვონიკოკო (69), 2:3 ჩიმაკაძე (80), 2:4 ციცხვაია (90)**

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ვასაძე (გიორგი გურეშიძე 67), ღანიაშვილი, ადამაძე, მაისაშვილი, ჩიმაკაძე, ხურცილავა (გაბრიჭიძე 59), ჯანელიძე, გურამ გურეშიძე, კორიფაძე, ზაქრაძე (როსტიაშვილი 46)

**გაგრა:** სეფიაშვილი, ტყეშელაშვილი, ხუციძე, შ.კვანტალიანი (დ.გიგაური 44), ნაკონეჩნი, ნ.ჯიშკარიანი, შარიქაძე, კალანდაძე, ზ.ჩხეტიანი, ოვონიკოკო (ციცხვაია 78), ორდინსკი (კობერიძე 68)

ქართული ფეხბურთის 21-წლიან ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ქვეყნის თასის ფინალში პირველლიგელი გუნდი გავიდა.

თამაში ისე დაიწყო, გაგრელთა ასე იოლ მოგებას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. „ვიტ ჯორჯია“ სამბურთიანი ფორის განეიტრალების მცდელობას პირველივე წუთებიდან შეუდგა. ჯერ შუახაზელი გურამ გურეშიძე დაემუქრა სეფიაშვილის კარს შორიდან, ცოტა ხანში კი ადამაძე ჩაერთო შეტევაში და კუთხურიდან ჩაწოდებულზე თავით დარტყმულით ხარიხა შეაზანზარა.

„გაგრამ“ პირველ შემოტევას გაუძლო და თამაში თავისთვის სასურველ ტემპში გადაიყვანა, თუმცა, პირველი ტაიმის მიწურულს იყო მომენტი, როცა ანგარიშის გახსნა „ვიტ ჯორჯიას“ შეეძლო. 38-ე წუთზე მორიგი შეცდომა დაუშვა გაგრელთა კიპერმა, რომლის შეცდომაც იქვე „გამოასწორა“ შეხვედრის არბიტრმა ლაშა სილაგავამ — ბურთზე ფეხით თამაშისას სეფიაშვილმა ვიტელთა ფორვარდ ბესიკ ჩიმაკაძეს გამოსდო სარმა და წააქცია. ეს ყველაფერი საჯარიმოში ხდებოდა და მსაჯს ლოგიკით პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ — ნულოვანი რეაქცია. არადა, ამ ეპიზოდამდე 10-ოდე წუთით ადრე მეტოქის საჯარიმოში წაქცეული ჩიმაკაძე სილაგავას სიმულაციისთვის უკვე გაფრთხილებული ჰყავდა.

სამაგიეროდ, არბიტრი არ შემცდარა მორიგ საკამათო ეპიზოდში, რომელსაც 42-ე წუთზე ვეტერინართა კარის აღება მოჰყვა. „ვიტ ჯორჯიას“ ცენტრალურ მცველთა მორიგი შეცდომით კარგად ისარგებლა შალვა კვანტალიანმა, რომელიც საჯარიმოს გარეთ გამოსულ ძაძამიასთან შეტაკებას არ შეუშინდა. შემტევმა ბურთისთვის ფეხის მირტყმა და ცარიელ კარში გაგზავნა მოასწრო, თავად კი მინდვრიდან გასაყვანი და ორიოდე წუთში შესაცვლელი შეიქნა — 0:1.

თბილისელთაგან ყველაზე აქტიურმა ჩიმაკაძემ ტაიმისთვის მსაჯისგან დამატებულ პირველსავე წუთზე შეძლო გათანაბრება. მასპინძლების შეტევის მარჯვენა ფლანგიდან „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტნის, გიორგი ჯანელიძის შესრულებულ „სტანდარტს“ თავი დაუხვედრა და ბურთი სეფიაშვილისგან შორეულ დაბალ კუთხეში გაიტანა — 1:1.

ვიტელებს საერთო გამარჯვებისთვის კიდევ 4 გოლის გატანა მართებდათ და ცდა არ დაუკლიათ. თუმცა, გოლები იქით მიიღეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში კიდევ უფრო შემტევებად ორიენტირებულმა თბილისელებმა თამაშს მოუმატეს, მაგრამ მეტოქის კონტრშეტევებს ვერაფერი მოუხერხეს. გაგრელთა შორის განსაკუთრებით ოვონიკოკო გამოირჩეოდა.

აფრიკელის პირველი ასეთი მცდელობა 55-ე წუთზე განხორციელდა, მაგრამ ძაძამიამ დროულად შეძლო, დარტყმულს გადაფარებოდა. მოგერიებულ ბურთს უკვე მიკოლა ნაკონეჩნიმ დაამატა და ცარიელ კარში მიმავალი ღანიაშვილმა მოიგერია. ოვონიკოკომ უახლოესი შეტევისას გოლი მაინც გაიტანა — მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა, ბურთი მარჯვნივ გაიგდო, ძაძამია მოატყუა და ისეთი მახვილი კუთხიდან შეძლო ცარიელ კარში გატანა — 1:2.

აქედან 13 წუთში ნიგერიელმა ფორვარდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ეროვნულ ჩემპიონატში ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთაგან საუკეთესო ლეგიონერია და მეორე გოლიც მიითვალა.

დუბლის შესრულება ბესიკ ჩიმაკაძემაც შეძლო. მან გაბრიჭიძის ზუსტი პასი მკერდით მიიღო, დასარტყმელად გაისწორა და მეტოქის საჯარიმოს ხაზიდან ახლოში საგოლედ დაარტყა — 2:3.

მატჩში კი საბოლოო წერტილი დავით ციცხვაიამ დასვა — 2:4.

# დავით უსტიაშვილი: „ეროვნული ნაკრების კანდიდატები ამხანაგურ მატჩებში გამოიცდებიან“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

— ამხანაგური მატჩები სწორედ იმისთვისაა, რომ ოპტიმალური შემადგენლობა შევარჩიოთ. ვარჯიშებზე ნაჩვენები შედეგებით არ შევარჩევთ ნაკრების წევრებს. მთავარია, მატჩებზე ვინ როგორ წარმოაჩენს თავს, ვინ როგორ აუღებს ალღოს მწვრთნელის ტაქტიკას, კომბინაციებს. გავმართავთ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას და საბოლოოდ ოპტიმალურ შემადგენლობასაც შევარჩევთ.

***— ტრავმირებულ ტორინ გრინზე რა ინფორმაციას ფლობთ?***

— გრინის შესახებ ჯერ გაურკვევლობაა. არ ვიცით, შეძლებს თუ არა ტრავმის მოშუშებას, თუმცა, იმედი გვაქვს, რომ ის საქართველოს ნაკრებს დაეხმარება.

***— თუ ვერ დაეხმარა, მის ნაცვლად ვინ იქნება ნაკრებში?***

— გრინი ნაკრებისთვის საკვანძო ფიგურაა, მისი შეცვლა რთული იქნება. არ ვფიქრობთ, რომ ის დაგვაკლდება, მაგრამ, თუკი მაინც ასე მოხდა, მის ნაცვლად ნაკრებში სხვა ნატურალიზებული უკანახაზელი ითამაშებს.

***— ტაირონ ელისი?***

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

***— ეროვნული ნაკრების შეკრებამდე ახალგაზრდულ ნაკრებთან იქნებით, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლას სწორედ 24 ივლისს ამთავრებს. დაიხმართ თუ არა ახალგაზრდულში თორნიკე შენგელიას?***

— წლეულს ახალგაზრდული ჩემპიონატი არ ემთხვევა ეროვნული ნაკრების შეკრებას. გასულ წელს კი თორნიკე შენგელია მხოლოდ ჯგუფურ ეტაპზე დაეხმარა 20-წლამდელებს, რის შემდეგაც ეროვნული ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდა. ახლა კი ის ასწრებს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბოლომდე თამაშს, რის შემდეგაც ორივენი ერთად ავსტრიაში ეროვნული ნაკრების შეკრებაზე გავემგზავრებით.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

მანჩესტერი-შალკე .......... 4:1

**ლიბერტადორესის თასი**

ამერიკა-სანტოსი .......... 0:0

ინტერნასიონალი-პერიანოლი .......... 1:2

კრუზეირო-კალდასი .......... 0:2

ლიბერტადი-ფლუმინენსე .......... 3:0

კატოლიკა-გრემიო .......... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ინვერნესი-სელტიკი .......... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 35 | 27 | 3 | 5 | 77:28 | 84 |
| 2.სელტიკი | 35 | 26 | 5 | 4 | 76:22 | 83 |
| 3.ჰართსი | 35 | 18 | 9 | 8 | 52:36 | 63 |
| 4.დანდი | 35 | 15 | 10 | 10 | 49:47 | 55 |
| 5.კილმანროკი | 35 | 13 | 9 | 13 | 51:46 | 48 |
| 6.მოზერველი | 35 | 13 | 6 | 16 | 39:51 | 45 |
| 7.ინვერნესი | 35 | 11 | 11 | 13 | 47:43 | 44 |
| 8.ჰიბერნიანი | 35 | 10 | 7 | 18 | 38:55 | 37 |
| 9.სტ.ჯონსონი | 35 | 9 | 10 | 16 | 20:43 | 37 |
| 10.აბერდინი | 35 | 10 | 5 | 20 | 36:55 | 35 |
| 11.სტ.მირენი | 35 | 7 | 8 | 20 | 32:56 | 29 |
| 12.ჰამილტონი | 35 | 4 | 11 | 20 | 22:56 | 23 |

**ავსტრია. თასი**

რიდი-რაპიდი .......... 2:1

**დანია. თასი**

რანდერსი-ნორდსიელანდი .......... 0:0

**აშშ. მლს**

ვაშინგტონი-სიეტლი .......... 2:1

ჰიუსტონი-კოლორადო .......... 1:2

## კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალები 4 მოგებამდე**

ჩიკაგო-ატლანტა .......... 86:73

ზაზა ფაჩულია: 1 მოხსნა

სერიის ანგარიში .......... 1:1

ლეიკერსი-დალასი .......... 81:93

სერიის ანგარიში .......... 0:2

## ჩოგბურთი

**ატპ. მადრიდი. თიხა**

ბერდიხი-გრანოლერსი .......... 6:4;6:0

ჯოკოვიჩი-ანდერსონი .......... 6:3;6:4

სოდერლინგი-ჰირალდო .......... 6:3;6:3

მალისე-ლუ .......... 6:2;6:2

დელ პოტრო-ჩილიჩი .......... 6:3;6:0

ნადალი-ბაგდატისი .......... 6:1;6:3

მიურეი-სიმონი .......... 6:4;3:6;6:0

ფედერერი-ლოპესი .......... 7:6;6:7;7:6

მელცერი-ხიმენო ტრავერი .......... 6:7;3:6

**ვტა. მადრიდი. თიხა**

ზვონარევა-კვიტოვა .......... 1:6;4:6

კლეიბანოვა-ვინჩი .......... 2:6;2:6

ლი-ბენეშოვა .......... 6:1;6:4

ვერგესი-საფინა .......... 6:4;4:6;6:4

იანკოვიჩი-საფაროვა .......... 4:6;6:4;5:7

შარაპოვა-ციბულკოვა .......... 4;6;5:7

## ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალები 4 მოგებამდე**

ბოსტონი-ფილადელფია .......... 5:1

სერიის ანგარიში .......... 3:0

ტამპა ბეი-ვაშინგტონი .......... 5:3

სერიის ანგარიში .......... 4:0

დეტროიტი-სან ხოსე .......... 3:4(ოტ)

სერიის ანგარიში .......... 0:3

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

ავსტრია-ნორვეგია .......... 0:5

ლატვია-დანია .......... 2:2(0:1ბ)

ფინეთი-ჩეხეთი .......... 1:2

შვედეთი-აშშ .......... 6:2

# ყველაზე სექსუალურ ქალად ბრიტანელი მსახიობი დაასახელეს



მამაკაცებისათვის განკუთვნილი ჟურნალის, „ეფეიჩემ“-ის ყველაზე სექსუალური გოგონების წლევანდელ რეიტინგს სათავეში „ვიქტორიას სიქრეთის“ მოდელი და მსახიობი როზი ჰანტინგტონ-უითლი ჩაუდგა.

ბრიტანელი გოგონასათვის 2011 წელი მეტად იღბლიანი გამოდგა. მანამდე, რამდენიმე დღით ადრე ყველაზე სექსუალურ გოგონად იგი კიდევ ერთმა ჟურნალმა „მაქსიმმა“ აღიარა.

როზი ჰანტინგტონ-უითლი ფილმის „ტრანსფორმერები“ მე-3 გაგრძელებაში მონაწილეობს, გარდა ამისა, ცნობილია, რომ იგი ინგლისელ მსახიობ ჯეისონ სტეტჰემს ხვდება.

რეიტინგის მეორე ადგილზე გავიდა ამერიკელი მომღერალი და კომპოზიტორი ქეთი პერი. „მაქსიმმა“ იგი თავისი საუკეთესო ასეულის მესამე ადგილზე გაიყვანა, თუმცა გასულ წელს იგი პირველი იყო.

„ეფეიჩემ“-ის რეიტინგის მესამე ადგილზეა ამერიკელი მოდელი და მომღერალი რიანა, როელმაც „მაქსიმის“ რეიტინგში მხოლოდ 22-ე ადგილის დაკავება შეძლო. თავის მხრივ, ოლივია მუნი, რომელიც „მაქსიმის“ რეიტინგში მეორეა, ეფეიჩემ-ის რეიტინგში 88-ე ადგილზე აღმოჩნდა.

რეიტინგის მეოთხე ადგილზე ამერიკელი მსახიობი და მოდელი მეგან ფოქსი გავიდა. გასულ წელს იგი მსახიობ ბრაიან ოსტინ გრინს გაჰყვა ცოლად. ისინი ერთმანეთს 2004 წლიდან ხვდებიან, რამდენიმე წლის შემდეგ გრინმა ფოქსს ცოლად გაყოლა სთხოვა, მსახიობები დაინიშნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ გაურკვეველი მიზეზების გამო ნიშნობა ჩაიშალა.

აღსანიშნავია, რომ მეგან ფოქსი „ეფეიჩემ“-ის რეიტინგს 2008 წელს ლიდერობდა.

მეხუთე ადგილზეა ოლივია უაილდი, რომელიც „მაქსიმის“ რეიტინგს 2009 წელს ედგა სათავეში. თავის მხრივ, „მაქსიმის“ რეიტინგის მეხუთე ადგილზე მსაიხობი კემერონ დიასი გავიდა, რომელმაც ბოლოს ფილმში „შავი გედი“ მილა კუნისის როლი შეასრულა.

„ეფეიჩემ“ ის პირველ ათეულში მოხვდნენ აგრეთვე სუპერმოდელი ბრუკლინ დეკერი, სუპერმოდელი და „ვიქტორიას სიქრეთის“ „ანგელოზი“ არისა მილერი, ინგლისელი მსახიობი და მოდელი კელი ბრუკი, ამერიკელი მომღერალი ნიკოლ შერზინგერი და რუსი მოდელი ირინა შაიხლისლამოვა, რომელიც უფრო ირინა შეიკის ფსევდონიმით არის ცნობილი.

„მაქსიმის“ ათეულში კი მოხვდნენ ისრაელის მოდელი ბარ რაფაელი, მსაიხობი ნატალი პორტმანი და სერიალ „როგორ შევხვდი დედათქვენს“ ვარსკვლავი კობი სმოლდერსი. „მაქსიმის“ ათეულის მეათე ადგილზე გავიდა მსახიობი ჯენიფერ ლოურენსი, რომელიც წლეულს ფილმში „ზამთრის ძვალი“ შესრულებული ფილმისთვის „ოსკარზე“ იყო ნომინირებული.

გ.თ.

# ქეთა თოფურია პოდიუმს დაუბრუნდა

ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერალი ქეთა თოფურია დროებით ისევ პოდიუმს დაუბრუნდა და თბილისის მოდის კვირეულში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში.

ქეთამ შეკრებილი საზოგადოების წინაშე „ატარეს“ კოლექცია წარადგინა. თბილისის მოდის კვირეული 3 მაისს დაიწყო და მასში 13 წამყვანი და 15 დამწყები ქართველი დიზაინერი მონაწილეობს. ქეთა თოფურია საზოგადოების წინაშე იმ დღეს გამოჩნდა, როცა კვირეულის ფარგლებში საკუთარი კოლექცია ოთხმა ახალგაზრდა დიზაინერმა წარადგინა. „ატარემ“, ატელიე „ექსპერიმენტმა“, მოსკოვში მოღვაწე ქართველმა დიზაინერმა ანნა მიმინოშვილმა და მარიკა კენჭაძემ შემოდგომა-ზამთარი 2011-2012-ის კოლექცია „შერატონ მეტეხი პალასის“ ტერიტორიაზე წარადგინეს.

თბილისის მოდის კვირეული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება. მისი მასპინძელი ამჟამად იუბილარი სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასია“, რომელიც 20 წლისაა. სასტუმრომ იუბილე თბილისის მოდის კვირეულის გახსნით იზეიმა. ქართული მოდის 6-დღიანი დეფილე 8 მაისს დასრულდება. პრეზენტაციის მასპინძლები არიან თბილისის მოდის კვირეულის საორგანიზაციო კომიტეტი და სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“.

კვირეულის პირველ დღეს საკუთარი კოლექციები წარმოადგინეს სიმონ მაჩაბელმა (პერფორმანსი „შერატონ მეტეხი პალასის“ ლობი) და ატელიემ 10 ა („შერატონ მეტეხი პალასის“ წვეულებათა დარბაზი). თბილისის მოდის კვირეული უკვე მეოთხედ იმართება საქართველოში. წელს მოდის კვირეულის ოფიციალური წარმდგენია რადიო „აფხაზეთის ხმა“, ოფიციალური მასპინძელი — „შერატონ მეტეხი პალასი“, სადაც ძირითადი ჩვენებები გაიმართება.



მოდის კვირეულის ერთ-ერთმა პარტნიორმა, გოეთეს ინსტიტუტმა, გამარჯვებული ახალბედა დიზაინერისთვის დააწესა სპეციალური პრიზი. ქართველ დიზაინერებთან ერთად თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში ფრანგი ბექსთეიჯის ფოტოგრაფი ვინსენტ ლაპარტიენი და ფრანგი მუსიკოსი ალექსანდრ მაქსველი მუშაობენ. ვინსენტ ლაპარტიენი პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში მუშაობდა შანელის, ივ სენ ლორანის, სონია რიკელის, დიორის, ჰერმესის, ლანვინისა და კიდევ სხვა მრავალი ცნობილი დიზაინერის ბექსთეიჯების გადაღებაზე, მუსიკოსი ალექსანდრ მაქსველი კი ქეთვოლკის მუსიკას წერს ცალკეული დიზაინერის ჩვენებისთვის.

თბილისის მოდის კვირეულს ესწრებიან მსოფლიოში ცნობილი მოდის ჟურნალის კრიტიკოსები და ბაიერები საფრანგეთიდან, ამერიკიდან, ბელგიიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, ესტონეთიდან, ბელორუსიიდან. თბილისის მოდის კვირეულში ასევე მონაწილეობენ ცნობილი ქართველი დიზაინერები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ და მუშაობენ, მათ შორის გიორგი შაღაშვილი (დანია), ანა მიმინოშვილი (მოსკოვი), დემნა გვასალია (პარიზი).

თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში უკვე გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი სამხატვრო აკადემიაში. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს თაკო ჩხეიძემ (თბილისის მოდის კვირეული), გია ბუღაძემ (სამხატვრო აკადემია) და ვერნერ ვიოლმა (გოეთეს ინსტიტუტი). სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის კი მასტერკლასები ჩაატარეს ესმოდისა და გალერის ლაფაიეტის წარმომადგენლებმა, რომლებიც თბილისში გოეთეს ინსტიტუტის მოწვევით ჩამოვიდნენ.

მოდის კვირეულის ძირითადი ჩვენებები ტარდება სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ ბალ რუმსა და მის ეზოში განთავსებულ ფეშენ ტენტში, თუმცა, შერჩეულია ალტერნატიული და საინტერესო ადგილებიც. კვირეული დაიხურება 8 მაისს მსოფლიოში პოპულარული სამოდელო კონკურსის შესარჩევი ტურით, რომელიც გაიმართება საქართველოში. თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში მოეწყობა აქსესუარების გამოფენა, შოურუმები, მასტერკლასები.

## როგორი მშობლები ხართ?




*ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ დიახ (0) არა (1) ხანდახან (2)*

1. თუ ადევნებთ თვალს გაზეთებსა და ჟურნალებში, ტელევიზიითა და რადიოთი პუბლიკაციებს აღზრდის თემაზე?

2. თქვენმა ბავშვმა რაღაც დააშავა, დაუფიქრდებით თუ არა, ხომ არ არის ეს თქვენი აღზრდის შედეგი?

3. თუ ხართ ერთსულოვანი თქვენს მეუღლესთან ბავშვების აღზრდის საკითხში?

4. ბავშვი დახმარებას გთავაზობთ, დათანხმდებით თუ არა, მიუხედავად იმისა, რომ უფრო დროს დაგაკარგვინებთ?

5. იყენებთ თუ არა აკრძალვის ან ბრძანების ფორმას მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ნამდვილად აუცილებელია?

6. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თანამიმდევრულობა პედაგოგიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია?

7. მიგაჩნიათ თუ არა, რომ გარემო, რომელშიც ბავშვი იზრდება, მასზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს?

8. მიგაჩნიათ თუ არა, რომ სპორტსა და ფიზკულტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ჰარმონიული განვითარებისთვის?

9. შეგიძლიათ თუ არა ბრძანების გარეშე, რაიმე სთხოვოთ თქვენს შვილს?

10. თუ გიჭირთ ბავშვის თავიდან მოშორება ფრაზით „ახლა შენი დრო არ მაქვს, მოითმინე, სანამ საქმეს დავამთავრებ?“

### პასუხები

**0-6 ქულა:** თქვენ სავსებით ართმევთ თავს მშობლის მოვალეობებს. მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობთ რაღაცის გაუმჯობესებას.

**7-13 ქულა:** აღზრდის შესახებ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვთ. გირჩევთ სწრაფად მოკიდოთ ხელი თვითგანათლებას ამ საკითხში.

**14-20 ქულა:** აღზრდაში მნიშვნელოვან შეცდომებს არ უშვებთ, მაგრამ მაინც ღირს, ჩაუფიქრდეთ თქვენს შედეგებს ამ სფეროში.

# ესტრადის მომღერლები ერთიანდებიან

ეკა ირემაშვილი

6 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „სანო სტუდია“ და თბილისის მერია არაერთი ცნობილი ჰიტის ავტორის მაიკო კაჭკაჭიშვილის შემოქმედებით საღამოს მართავს.

კონცერტში მონაწილეობენ ნინი ბადურაშვილი, ვერიკო ტურაშვილი, ლელა წურწუმია, მერაბ სეფაშვილი, აჩიკო მეფარიძე, დუეტი „ჯორჯია“, ნინო ჩხეიძე, ნოდიკო ტატიშვილი, დათუნა მგელაძე, ეკა კახიანი, კახა კუხიანიძე, სალომე ბაკურაძე, თამთა ჭელიძე და ესტრადის სხვა ცნობილი შემსრულებლები.

მაიკო კაჭკაჭიშვილი ცნობილი მომღერლის ლევან ლაზარიშვილის მეუღლეა. იგი არაერთი ჰიტის ავტორია და მომღერლებში მისი ნამუშევრები დიდი მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობს. ხშირად მაიკო თავის სიმღერებს რჩეულ და საყვარელ მომღერლებს ჩუქნის კიდეც. სიმღერების ავტორს თავისი პრინციპები აქვს, რაც იმით გამოიხატება, რომ არსებობენ მომღერლები, რომლებსაც არანაირი საფასურის სანაცვლოდ თავის სიმღერას არ ანდობს და არც ჩააწერინებს.

მაიკო კაჭკაჭიშვილმა უკვე ჩაატარა საავტორო საღამო კლუბ „ტრიუმფში“, თუმცა, როგორც ამ კონცერტის ორგანიზატორი დავით მგალობლიშვილი აღნიშნავს, დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი კონცერტი ყველა დანარჩენი ღონისძიებისგან გამორჩეული და გრანდიოზული იქნება. ასეთი მასშტაბის კონცერტი დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე მაიკოსთვის პირველია.

**დავით მგალობლიშვილი, კონცერტის ორგანიზატორი:**

— ქართული ესტრადის წარმომადგენელთა 99 პროცენტი მაიკო კაჭკაჭიშვილის სიმღერებს ასრულებს. ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველა ერთად შეგვეკრიბა და მაიკოს შემოქმედებითი საღამო ჩაგვეტარებინა. ამ კონცერტზე თქვენ მოისმენთ როგორც ძველ სიმღერებს, ასევე პრემიერებს, დუეტებს. სულ ამ კონცერტში 27 მომღერალი გავაერთიანეთ.

*— კონცერტი გიორგობის დღესასწაულს შეგნებულად დაამთხვიეთ?*

— დიახ. 6 მაისის არჩევა არ მომხდარა სპონტანურად. ეს დღე შეგნებულად ავირჩიეთ და ასეთი გრანდიოზული კონცერტი სპეციალურად დავამთხვიეთ ამ დღესასწაულს.

*— სიურპრიზები იქნება?*

— რა თქმა უნდა. ეს იქნება გრანდიოზული კონცერტი. პოპმუსიკის ასეთი მასშტაბური კონცერტი საქართველოს ჯერ არ ახსოვს. ვინც კი გაგიგიათ ქართულ ესტრადაზე, ყველა მონაწილეობს.

*— მაიკოს მეუღლე, ლევან ლაზარიშვილიც იმღერებს?*

— ლევანი საქართველოში არ არის, ამიტომ ის კონცერტში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

*— მაიკო არ დადგება სცენაზე?*

— კი, ამ კონცერტზე მაიკოც იმღერებს. ეს არის ერთგვარი სიურპრიზი და პრემიერა. მაიკო დუეტს შეასრულებს რეპერ ძვალთან ერთად. ეს სიმღერა შვილებზეა და ორივენი ამ სიმღერას საკუთარ შვილებს მიუძღვნიან — მაიკო თავის ტყუპ ბიჭებს, რეპერი ძვალი კი — თავის შვილს.

*— ბილეთი ძვირია?*

— ბილეთის ფასი 10-დან 30 ლარამდეა. პირობას გაძლევთ, ვინც კონცერტზე მოვა, ძალიან კმაყოფილი დარჩება, რადგან ბევრი ლამაზი სიმღერა და არაჩვეულებრივი სანახაობა ელოდებათ.

## იუმორი



— სიტუაცია ასეთია, ქუჩაში სამგლოვიარო პროცესია და ქორწილი ერთმანეთს პირისპირ შეეჩეხნენ. ვინ ვის უნდა დაუთმოს გზა? ერთი მხრივ, მიცვალებულს უკვე აღარსად ეჩქარება, მეორე მხრივ — პატარძალი უკვე ორსულადაა...

***

აღშფოთებული ცოლი ქმარს მიმართავს:

— ხედავ რა უქნია ამ სასიკვდილეს? ჩვენმა ძაღლმა ყველა ჩემი საკრედიტო ბარათი დაღრღნა.

ქმარმა ძაღლს დაუძახა და თავზე ხელი ალერსით გადაუსვა:

— ეს რა ქენი, შე სასიკვდილევ?

***

— დაბადების დღეზე ცოლმა ავტომობილისათვის ინსტრუმენტების ნაკრები მიყიდა, თანამშრომლებმა ახალი ბორბლებისათვის შემიგროვეს ფული, შვილმა ნავიგატორი მიყიდა, ქალიშვილმა ტელევიზორი მანქანისათვის.

— მოიცა, ვერ გავიგე, დაბადების დღე შენ გქონდა თუ მანქანას?

***

— ექიმო, გრიპი მაქვს, რას მირჩევთ?

— ჩემგან უფრო შორს დადექით...

***

ქალი და მამაკაცი საუბრობენ:

— ნუთუ სულ აღარ გახსოვართ?

— არა, სულაც არ ვარ გულღვარძლიანი...

***

ქმარმა სამშობიაროდან სიდედრს დაურეკა და ახარა:

— ტყუპები შეგვეძინა.

კავშირი ცუდი იყო, სიდედრმა ვერ გაიგო და ეკითხება:

— შეგიძლია, რომ გაიმეორო?

ახლადგამომცხვარი მამა სახტად დარჩა:

— დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ვცდი...

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. მთიანეთი აშშ-ში; 3. გუნდისა და ორკესტრისთვის განკუთვნილი დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები; 4. სახელმწიფო აზიაში; 5. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 6. აზიის მთიანეთში გავრცელებული თოვლის ჯიქი; 8. დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელი; 11. ამერიკის აღმომჩენი ზღვაოსანი; 14. საქმიანობის შეწყვეტა, დახურვა, გაუქმება; 15. ძველბერძენი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, პოლიტიკოსი; 16. ვაშლის ქართული ჯიში; 17. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 19. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 21. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 22. ფულის ერთეული პაკისტანში.

**თარაზულად:** 1. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 5. გაუფასურებული, ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 7. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 9. სხივი, შუქი, ბრწყინვალება; 10. სარეკლამო ხასიათის ილუსტრირებული ბროშურა; 12. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 13. მოსაპირკეთებელი სამშენებლო მინერალი; 16. მედიცინაში, მშენებლობაში, ქანდაკებაში გამოყენებული თეთრი ფერის მინერალი; 17. ესპანელი ფერმწერი; 18. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 20. მყარი სხეული, რომელსაც ბუნებრივად აქვს მრავალკუთხედის ფორმა; 22. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 23. მუსიკალური ნაწარმოების ნელი, ზომიერი შესრულების ტემპი; 24. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 25. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 2. „ოჯალეში“; 3. აპატრიდი; 4. ობივატელი; 5. ლანჩი; 6. ერთზაცი; 8. ბრინზა; 11. გუდრონი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაცია; 17. ფაგოტი; 19. ოსტერია; 21. ხიხვი; 22. შნეკი.

**თარაზულად:** 1. „ბოტაფოგო“; 5. ლილე; 7. „საბენა“; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამნერისი; 17. ფიჯი; 18. ბონზა; 20. სკალპელი; 22. შტილი; 23. რეესტრი; 24. ცაგერი; 25. ვისკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ჰიუნდაი“; 2. მწვადი; 3. ჰომეროსი; 4. „ფიგარო“; 6. ხულიგანი; 8. „იდიოტი“; 11. ბეისბოლი; 12. „ნაცნობი“; 16. ბამბა; 17. თაობა; 18. აპაჩი.

**თარაზულად:** 1. ჰეტმანი; 5. ფაცხა; 7. სომელიე; 9. დუქარდი; 10. ფაქტორი; 13. ტექსელი; 14. ბესონი; 15. „იავა“; 19. ანორაკი; 20. მარჩბივი; 21. ნაბელლავი; 22. შიიზმი.

# ავსტრალიაში პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელი ვეტერანი გარდაიცვალა

ხუთშაბათს ავსტრალიაში, ქალაქ პერტის ხანდაზმულთა სახლში 110 წლის ასაკში გარდაიცვალა პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელი ვეტერანი კლოდ სტენლი ჩაულსი.

სააგენტო ესოშიეიტედ პრესმა ეს ინფორმაცია მისი 84 წლის ქალიშვილის დაფნა ედინგერის სიტყვებზე დაყრდნობით გაავრცელა.

ჩაულსი გარდა ამისა, ორი მსოფლიო ომის მონაწილე უკანასკნელი ვეტერანიც იყო.

წარმოშობით ბრიტანელი ჩაულსი, რომელიც უფრო ჩაკლსის მეტსახელით იყო ცნობილი, სამხედრო ფლოტში 15 წლის ასაკში ჩაეწერა და სახაზო გემ „რევენჯზე" მსახურობდა. იგი 1918 წელს გერმანიის ფლოტის კაპიტულაცის მოწმე იყო.

ფლოტში მოსახვედრად 13 წლის ყმაწვილმა ასაკი მოიმატა და მიზანს მიაღწია. გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩაულსი ავსტრალიაში გადავიდა საცხოვრებლად და სამხედრო კარიერა გააგრძელა. იგი 40 წელი მსახურობდა ავსტრალიის შეიარაღებულ ძალებში და ფლოტი 1956 წელს დატოვა.

მისი მეუღლე ეთელი, ვისთანაც ერთად 80 წელი იცხოვრა, სამი წლის წინ გარდაიცვალა. ჩაულზებს სამი შვილი და 11 შვილიშვილი დარჩათ.

108 წლის ასაკში მან თავისი პირველი წიგნი გამოაქვეყნა, მემუარები დაწერა სათაურით „უკანასკნელი უკანასკნელთა შორის". როგორც თავად ამბობდა, ყოველთვის სძულდა ომი, იგი მხოლოდ სამუშაოდ მიაჩნდა. ვეტერანი გარდა ამისა, ხშირად ამბობდა, რომ დიდხანს სიცოცხლისათვის სუნთქვა არის საჭირო.

ბოლო დროს, სმენისა და მხედველობის დაკარგვის მიუხედავად ვეტერანი კვლავაც საღად აზროვნებდა და სიცოცხლის ბოლომდე რაიმე მედიკამენტებს არ იღებდა.

გარდაცვალების შემდეგ პირველი მსოფლიო ომის ერთადერთ ვეტერანად რჩება ბრიტანელი ქალი ფლორანს გრინი, მაგრამ იგი საომარ მოქმედებებში მონაწილეობას არ იღებდა, სამხედრო ბაზაში ოფიციანტად მსახურობდა.



მანამდე, მიმდინარე წლის 27 თებერვალს 110 წლის ასაკში გარდაიცვალა ფრენკ ბაკლზი, პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელი ამერიკელი ვეტერანი. პირველი მსოფლიო ომის ბრიტანეთში მცხოვრები სამი ვეტერანი, ბილ სტოუნი, ჰენრი ალინგემი და ჰარი პეტჩი 2009 წელს გარდაიცვალნენ.

**გ.თ.**

დასაწყისი მე-6 გვერდზე

# ხელისუფლება დევნილთა უფლებებს არღვევს

გარკვეული რაოდენობით. ისიც ვუთხარი, რომ ეს მოხდა კოოპტაციის მეშვეობით. როდესაც ვუთხარი, რომ კოოპტაციის მეშვეობით ეს ორგანო გახდა გენმოდიფიცირებული პოლიტიკური ამება, მას ჩემს მეტაფორაზე გაეღიმა. როცა ვუთხარი, რომ ეს საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლი ირღვევა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის დარღვევით ფუნქციონირებს ეს ორგანო, მითხრა, რომ იცოდა ამ ორგანოს არსებობის შესახებ, მაგრამ არ იცოდა, რომ 20 წლის განმავლობაში ამ ორგანოს როტაცია არ მომხდარა. მე ვუთხარი, რომ როტაცია არ მომხდარა და ძირითადად დევნილების უდიდესი ნაწილის (და არა მხოლოდ დევნილების) უფლებები ირღვევა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს დევნილებს აქვთ უფლება, აირჩიონ წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მათ უფლებებს უშუალოდ დაიცავს, მათ შორის, საერთაშორისო მოლაპარაკებებშიც. ვუთხარი, რომ ვინაიდან ეს ორგანო ვერ გამოხატავს დევნილთა ინტერესებს (ბუნებრივია, ვერ გამოხატავს დევნილთა ინტერესებს, რადგან თაობები შეიცვალა, პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, კვორუმი ვერ დგება ლეგიტიმურად), ამიტომ, გარკვეულწილად, პოლიტიკური პროცესებისთვის ეს ორგანო რუდიმენტად იქცა. თქვენ თვლით, რომ ეს ორგანო საერთოდ არ არის საჭირო? ვუპასუხე, რომ ეს არ მითქვამს. ეს ორგანო საჭიროა, მაგრამ მას ლეგიტიმაცია უნდა ჰქონდეს საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში-მეთქი. მან გაიმეორა, ვიცოდი ამ ორგანოს შესახებ, მაგრამ არ ვიცოდი, რომ როტაცია არ მომხდარაო. მკითხა, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამ კუთხით ამომრჩევლის უფლებები დაცული იყოსო. მე ვუთხარი, რომ არის საშუალება, საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში ამ ორგანოს გადახალისება მოხდეს, ანუ მოხდეს როტაცია, როგორც წარმომადგენლობით ორგანოში ხდება ხოლმე პერიოდულად არჩევნების გზით. ვინაიდან დღეს ფორსმაჟორული სიტუაციაა შექმნილი საქართველოში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიას ოკუპანტი აკონტროლებს და საქართველოს ხელისუფლება ფაქტობრივად ამ ტერიტორიას ვერ აკონტროლებს, ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციაში მცირედი შესწორებების შეტანის შემთხვევაში, შეიძლება დაინიშნოს აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლობითი სახალხო კრება და ამ კრებამ შეიძლება დეპუტატების გარკვეული რაოდენობა აირჩიოს. ამით ეს ორგანო ლეგიტიმურობის თვალსაზრისით უფრო მაღალი დონის გახდება და დევნილების ინტერესების გამომხატველიც. ეს, რა თქმა უნდა, უშუალოდ პირდაპირი დემოკრატიის გამოხატულება არ იქნება, მაგრამ გაცილებით სჯობს იმ სავალალო მდგომარეობას, რომელიც დღეს არის შექმნილი ამ ორგანოში. ის ვერავითარ ფუნქციას სახელმწიფოში ვერ ასრულებს. ეს იყო ჩემი და ჰამერბერგის საუბრის ძირითადი თემა. ჰამერბერგს ვთხოვე, იმ რეკომენდაციებთან ერთად, რომლებსაც ჰამერბერგი აპირებს წარუდგინოს საქართველოს ხელისუფლებას (მან თქვა, რომ საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს დაახლოებით ზაფხულის შუა რიცხვებში წარუდგენს. ეს რეკომენდაციები რომ ვერ წარვუდგინო, ისე შვებულებაში ვერ წავალო) წარუდინოს რეკომენდაცია, რომ მოხდეს ამ ორგანოს გადახალისება-როტაცია არჩევნების გზით, თუნდაც არაპირდაპირი დემოკრატიის მეშვეობით.

***— ბატონო მამუკა, რატომ მიმართეთ ჰამერბერგს, როდესაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ლეგიტიმურობისა და როტაციის საკითხი მაინც საქართველოს შიდა პოლიტიკური საკითხია? ამ საკითხის გადაწყვეტა საქართველოს ხელისუფლებას ხელეწიფება.***

— ხელისუფლების ძალიან მაღალი რანგის წარმომადგენლებთან მქონდა კონსულტაციები და კონკრეტული პასუხი ამასთან დაკავშირებით არ მიმიღია. არც კონკრეტული პასუხი და არც არავითარი გარანტია არ მაქვს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ასეა. ვინაიდან შესაძლებლობა მომეცა, ეს საკითხი ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წინაშე დავსვი. საქართველო იზოლირებულად, სხვა კუნძულზე არ მდებარეობს, რომ ადამიანის უფლებები იქნება თუ კონკრეტულად დევნილთა უფლებები, რაღაც განყენებულად განვიხილოთ. ჩვენ ევროპისკენ მივისწრაფვით, ევროპულ ღირებულებებს ვაღიარებთ. როცა ევროსტრუქტურის უმაღლესი თანამდებობის პირი ადამიანის უფლებების საკითხებში საქართველოში ჩამოდის და მე ამ საკითხის დაყენების უფლება მეძლევა, არ ვფიქრობ, რომ ეს შიდა პოლიტიკური საკითხია. რამდენადაც პატიმრების უფლებების დაცვა ზოგადი საკითხია, რამდენადაც მართლმსაჯულება ზოგადი საკითხია, ისეთივე, ზოგადი საკითხია დევნილების უფლებების დაცვა, ამ შემთხვევაში, როგორც ამორმრჩევლის უფლების დაცვა.

***— ე.ი. ხელისუფლება ამ საკითხს არ წყვეტს და გინდათ, რომ ევროსაბჭოს უმაღლესმა კომისარმა საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაცია მისცეს?***

— დიახ. ამ საკითხს არც ხელისუფლებისა და არც საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების დასაკნინებლად არ ვაყენებ. მე ვამბობ, რომ ჩვენ დემოკრატიის კუთხით ბევრი რამ გვაქვს სასწავლი. ველოსიპედის მეორედ გამოგონება საჭირო არ არის. არის ისეთი მომენტები, რის ჩვენს რეალობაში გადმოტანა შეიძლება. ვინაიდან უმაღლესი თანამდებობის პირი ამბობს, არ ვიცოდი, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს როტაცია არ მომხდარაო, ჩავთვალე, რომ ძალიან კარგი საქმე გავაკეთე, როცა ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი ადამიანის უფლებების საკითხებში საქმის კურსში ჩავაყენე.

***— თქვენ ჰამერბერგს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მოლაპარაკებებში ჩართვის აუცილებლობაზეც ესაუბრეთ. თუმცა, რეინტეგრაციის საკითხებში მინისტრმა ტყეშელაშვილმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს თამაზ ხუბუას მოლაპარაკებებში ჩართვასთან დაკავშირებით უპასუხა, ამის აუცილებლობა არ არსებობსო, ახლა კი არა, შევარდნაძის დროსაც ხელისუფლებები ცდილობდნენ და ცდილობენ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მოლაპარაკებებში წარმოდგენილი არ ყოფილიყო. ეს მხოლოდ ლეგიტიმურობის დაბალი ხარისხის ბრალი არ არის.***

— ტყეშელაშვილის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ზუსტად ასეთ პასუხს გავცემდი. ორგანო, რომელიც 20 წლის წინ იქნა არჩეული და არავითარი ლეგიტიმურობა არ გააჩნია, ბუტაფორიასავითაა, არც ერთი საერთაშორისო ნორმის გათვალისწინებით არ არსებობს, რა თქმა უნდა, ის ვერ იქნება წარმოდგენილი საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ, ის ორგანო რომ იყოს დევნილთა უშუალო ინტერესების გამომხატველი, ხელისუფლება იძულებული იქნება, ისინი მოლაპარაკებებში ჩართოს.

***— შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლებებს რომ სდომოდათ, აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებას მოლაპარაკებებში ადრევე ჩართავდა. თუკი რუსეთი მოითხოვს, გვინდა თუ არა, სეპარატისტის დაველაპარაკოთ, მათ გარეშე არ ჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან, ჩვენც უნდა მოგვეთხოვა უმაღლესი საბჭოს ჩართვა ამ პროცესში. თუ ხელისუფლებამ ის გააკეთა, რომ პარლამენტიდან დეპუტატები გაუშვა და ცარიელი სკამებიც კი აღარ დაუთმო აფხაზეთს, ამ რეგიონს თავისი კვოტაც კი აღარ მისცა, უმაღლესი საბჭოს არსებობა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში ველარ მოიყვანა?***

— ხელისუფლებამ საქართველოს პარლამენტიდან აფხაზეთის ძველი დეპუტაცია რომ გაუშვა, აბსოლუტურად სწორი იყო...

***— კანონში კვოტა მაინც დაეტოვებინა, რა უშლიდა ხელს?***

— ამაზე ხელისუფლების მაგივრად ვერ გიპასუხებთ. ჟენევის მოლაპარაკებებში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე მონაწილეობს, მაგრამ ეს არ არის სრულფასოვანი მონაწილეობა. ყველამ იცის, რომ მისი მონაწილეობა არ არის სრულფასოვანი და ლეგიტიმური. ხელისუფლებას რა გეგმები აქვს, არ ვიცი ამ 20 წლის წინ არჩეულ ამ შემადგენლობასთან დაკავშირებით. დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც ამდენ ათას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დევნილს ამ ორგანოში მის მიერ არჩეული წარმომადგენელი ეყოლება, ნებისმიერი საერთაშორისო ინსტიტუცია, ნებისმიერი სეპარატისტი, ნებისმიერი ოკუპანტი აუცილებლად გაუწევს ანგარიშს, რომ იმ ადამიანების ხმა მოლაპარაკებებზე იყოს წარმოდგენილი. თუმცა, ვერ ვიტყვი, ამას შევარდნაძის დროს რატომ ვერ აკეთებდნენ ან დღეს რატომ ვერ აკეთებენ. ეს რომ გაკეთდეს, ამიტომ წამოვიწყე პროცესი, ამიტომ შევხვდი ჰამერბერგს. ჩემი გაოცება იმან გამოიწვია, ამ სიტუაციასთან დაკავშირებით საქმის კურსში ბოლომდე ჰამერბერგიც რომ არ იყო. მე ის საქმის კურსში ბოლომდე ჩავაყენე. რამდენად გაუწევს ანგარიშს ჩემს პოზიციას და რამდენად იქნება ასახული საქართველოს ხელისუფლების მისამართით გამოგზავნილ რეკომენდაციებში, არ ვიცი. მითხრა, რომ შემიძლია მასთან ურთიერთობა მქონდეს ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია თბილისში. თუ საჭირო იქნება, ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროებისამებრ ევროსაბჭოს ოფისთან აუცილებლად მექნება კონტაქტი და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებსაც შევხვდები.

***— მესმის თქვენი აღშფოთება იმის გამო, რომ ამ კუთხით დევნილთა უფლება იზღუდება ათეული წლების განმავლობაში, მაგრამ მეტ-ნაკლებად დევნილებიც ეგუებიან და საერთაშორისო საზოგადოებაც. სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები კონტაქტს არ ერიდებიან არა მარტო არალეგიტიმურ, არამედ დანაშაულებრივ აფხაზურ-რუსულ რეჟიმთან.***

— სამწუხაროდ, ასეთია ფაქტობრივი მდგომარეობა. ხელისუფლებას აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უჭირს. ხელისუფლებაში ბევრს ესმის ჩემი პოზიცია, მაგრამ ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც რატომღაც ამ ორგანოს ლობირებენ.

# სამგლოვიარო განცხადებები



## შოთა (შუ) ბაზაძის ხსოვნას

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წავიდა ქუთათური ვაჟკაცი — მოსიყვარულე მამა, მეუღლე, ბაბუა, უღალატო ძმაკაცი. დაგვიტოვა უსაზღვრო სევდა, მონატრება და ტკივილი. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო შუ. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ქართული მიწა!

*მეგობრები*

## ლუდა ჩქარეულის გამოსათხოვარი

შეწყდა ჩვენი თანამშრომლის, მედიცინის მუშაკის ლუდა ჩქარეულის სიცოცხლე. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აღარ შემოაღებ ბაღის კარს და შენს განკუთვნილ სკამზე აღარ დაჯდები. ვაი, რომ ეს მწარე სიმართლეა.

მოყვასის კეთილდღეობისათვის უშურველს, საკუთარი თავი დაგრჩა ყურადღების გარეშე. მძიმე ავადმყოფობის საშინელი ურჩხული აღიმართა შენ წინაშე. ხშირად იგონებდი ერთ ამბავს — ძეძვის ტანმორჩილი ჩიტი სასიკვდილო ეკალს რომ იყრის გულში და სასოწარკვეთილი, მაგრამ საოცრად მიმზიდველი გალობით რომ ემშვიდობება ქვეყანას. შენი სიცოცხლის ბოლო წუთები რაღაცით წააგავდა საოცრად ლამაზი ფრინველის ბოლო წუთებს, ოღონდ გულის ჩხვლეტის ტკივილი იყო ჯოჯოხეთური. სენმა იმძლავრა და გძლია, მაგრამ დარჩი ლამაზი, სათნო და ამით საუკუნო სასუფეველი დაიმკვიდრე.

უშენობა ჩვენთვის გაუსაძლისი ტკივილია, რომელსაც დრო არასდროს განკურნავს.

მე წავედი, გტოვებთ ყველას ფერწასულებს,
ვიცი, თქვენგან ჩემი წასვლა იყო ადრე,
მხოლოდ ერთს გთხოვთ, ბოლო თხოვნა შემისრულეთ —
ნურასოდეს, ნურასოდეს დამივიწყებთ!

*24-ე ბ/ბაღის თანამშრომლები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 6 მაისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **17.30** **ძიუდო**. გრან-პრი. ფინალები **19.05** დოკ. ფილმი "ათონის ქართველთა სავანე" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. **"ზიანი"** (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფ. **"სატყუარა"** (12) **03.50** მხ. ფილმი **"ლოს-ანჯელესის საეცრაზმი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"ბობი ჯონსი გოლფის გენიოსი"** **01.00** მხ. ფილმი **"მარტოხელა თეთრი ქალი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობელი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** მხ. ფილმი **"ბუმერანგი"** (18) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) **23.00** მზის კინოკლუბი **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.00** **შეგირდი** **00.30** მუსიკალური ლიგა (გან.) **01.45** მხ. ფილმი **"საიდუმლო ნიშანი"** (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **04.10** ფლეიბოი იმედზე **04.40** მხ. ფილმი **"ევროტური"** (15) (სუბტ.) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "ტურიზმი" **11.50, 21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"დიდი გასეირნება"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ფოლკლორში" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ხევისბერი გოჩა"** **13.30** კონცერტი – ანს."მამული" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მამლუქი"** **16.35** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "სულიკო" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მხიარული რომანი"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.20** გარდამოხსნის განმარტება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დოკ. ფილმი "წმინდა გიორგი" **23.30** დოკ. ფილმი "ზეცის სიმაღლეს ეზიარა" **00.35** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**6 მაისი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6766 |
| ევრო | 2,4901 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7672 |
| რუსული რუბლი | 0,0612 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-29, ღამით — 8-19

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12-1§, ღამით — 19-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-16, ღამით — 4-8

## ამინდის პროგნოზი 6 მაისისთვის








**წამალი "ფერდი"** შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

**წამალი "ფერდის"** მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

**წამალი "ფერდი"** იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE** ☎ **95-90-60**

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## დავით უსტიაშვილი: „ეროვნული ნაკრების კანდიდატები ამხანაგურ მატჩებში გამოიცდებიან"




ახლოვდება საქართველოს ეროვნული ნაკრების შეკრების დღე — 24 ივლისი. იგორ კოკოშკოვის გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპს ავსტრიაში დაიწყებს, საიდანაც სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) გადავა და მთლიანობაში 12 ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ შეკრებაზე უნდა შეირჩეს ის 14 მოთამაშე, რომლებიც ლიტვაში, ევროპის ჩემპიონატზე წავლენ. ცხადია, ჩვენი ნაკრების ქომაგებს აინტერესებთ, რა და როგორ იქნება.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის ასისტენტი, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი დავით უსტიაშვილი საუბრობს, რომელთან ინტერვიუც კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

*— როდის გაირკვევა ის შემადგენლობა, რომელიც 24 ივლისს ავსტრიის ქალაქ შტაინბრუნში შეიკრიბება?*

— შემადგენლობა გაფართოებული იქნება, მაგრამ კონკრეტულ გვარებს ჯერ ვერ დავასახელებთ. ყველა კანდიდატი ჯერ არაა შერჩეული.

*— როდის შეირჩევა საბოლოოდ?*

— ნაკრების მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვთან მიმდინარეობს კონსულტაციები ნაკრების შეკრებაზე წამსვლელ შემადგენლობასთან დაკავშირებით. შეკრების დაწყებამდე მათი ვინაობა ცნობილი იქნება. ამ საკითხზე სეზონის დასრულების შემდეგ უფრო აქტიურად ვიმუშავებთ.

*— რამდენი კალათბურთელი იქნება თავდაპირველად გამოძახებული?*

— რაოდენობა განსაზღვრული არაა. რამდენი კალათბურთელიც დაგვჭირდება, რამდენიც დაიმსახურებს, შეკრებაზეც ის იქნება. გეტყვით, რომ გასული წლის ძირითადი შემადგენლობიდან თორმეტივე კალათბურთელი იქნება ამ შეკრებაზე გამოძახებული. ამათ დაემატებიან სხვა კანდიდატებიც.

*— შეკრება 24 ივლისს იწყება და უკვე 12 დღეში საქართველოს ნაკრებს პირველი ამხანაგური მატჩი ელის. ეს პერიოდი საკმარისი იქნება ძირითადი შემადგენლობის შესარჩევად?*

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 6 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — თქვენი საქმე წინ მიდის, დაჯილდოვდებით კიდეც. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — კარგად დაფიქრდით და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, აწონ-დაწონეთ ყოველი ნაბიჯი. **ლომი** — ახალი საქმე მოგეწონებათ, თქვენც მოეწონებით უფროსობას. **ქალწული** — ფულს შოულობთ, ახალი საქმე გამოგიჩნდებათ. **სასწორი** — საქმიანი შეხვედრისთვის საგანგებოდ უნდა მოემზადოთ, სერიოზულ ხალხს შეხვდებით. **ღრიანკალი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მერწყული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, ჩაფიქრდით იმ საკითხებზე, რაც გაწუხებთ. **თევზები** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# ყურადღება!

## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა 100 წიგნის პირველი ტომის, განდის, შეძენა!

"ახალი თაობის" 9 მაისის ნომრიდან ისევ გაიყიდება განდის ავტობიოგრაფია, იგივე ფასად:

გაზეთი + წიგნი = 8 ლარი





## ოთარ მეღვინეთუხუცესი პრემიერისთვის ემზადება

ეკა ირემაშვილი



8 მაისს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე რეჟისორი დავით საყვარელიძე პრემიერას გამართავს, რომელშიც მთავარ როლს მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი ასრულებს. მარჯანიშვილის თეატრში ოთარ მეღვინეთუხუცესი სპექტაკლებში აქტიურად დაკავებული არ არის. იგი მხოლოდ თემურ ჩხეიძის სპექტაკლ „ანტიგონეში" მონაწილეობს. დავით საყვარელიძის სპექტაკლი „წიგნი" მისთვის მეორე წარმოდგენა იქნება.

რეჟისორის არჩევანი ამჯერად თანამედროვე ქართველი მწერლის აკა მორჩილაძის ნაწარმოებ „წიგნზე"

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბუნებაში ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 2. „სამანიშვილის დედინაცვლის" პერსონაჟი; 3. ბრონეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 4. ისტორიული ციხექალაქი მცხეთის მახლობლად; 6. გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 8. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 11. ბრტყელი ლოკოკინა; 12. ცხოველებისა და ფრინველების სათავსო ზოოპარკში; 16. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. წმინდა გამარჯვება ძიუდოში.

**თარაზულად:** 1. ზღვის ბრტყელი თევზი, რომელსაც ორივე თვალი ერთ მხარეს აქვს; 5. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 7. ძველებური ქართული, ბასრწვერიანი საბრძოლო იარაღი; 9. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონა საფრანგეთსა და იტალიაში; 10. წმინდა ოქრო; 13. ავსტრალიის დედაქალაქი; 14. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 15. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. ექიმის სპეციალობა; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 22. ტკბილი კარტოფილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი